# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 მარტი 2005 №64 (2387) ფასი 50 თეთრი


## ზესტაფონი უცხოელებს უმიზნებს

ახალი ლეგიონერები საქართველოში?

3



## დალოცე, მამაო, დონ იუპი

ინტერვიუ იუპ ჰაინკესთან

8



## ქართულ ჭიდაობას მსოფლიოში სწავლობენ

გაისად ქართულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას ფიქრობენ

13

# საბერძნეთი უნდა დაიმალოს!



გუშინდელი დღის მთავარი ამბავი: საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე თბილისშია და გუნდს შეუერთდა. ბერძნული „ქსანთის“ 27 წლის მარჯვენაფლანგელი ლევან მაღრაძე კი კიდევ ერთხელ ვერ თუ არ ჩამოვიდა ეროვნული ნაკრების შეკრებაზე. ალენ ჟირესმა მაღრაძე პირველად 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, თუმცა ქსანთელი არც მაშინ ხლებია ფრანგს. ჟირესი მაღრაძის ჩამოუსვლელობის მიზეზს ვერ ასახელებს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ჟირესმა საბერძნეთის ნაკრებზე თქვა, თუ მოგება გვინდა, მეტოქე ორგანიზაციულად უნდა დავმალოთ და ამაში ისიც უნდა გამოგვადგეს, ელინელებს ტრაიანოს დელასი რომ არ ეყოლებათო.

პრესკონფერენცია ბერძენთა გერმანელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმაც გამართა. საქართველოსთან მატჩი ჯგუფში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრებისთვის უნდა გამოვიყენოთ, რათა შემდეგ პირველი ადგილისთვის ვიბრძოლოთო — უთქვამს რეჰაგელს.

# მაშ, თვითმფრინავი?

## ლევან მაღრაძეს ფრენა არ შეუძლიაო



რატომ არ ჩამოვიდა ლევან მაღრაძე სანაკრებო შეკრებაზე? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად წუხელ თავად ფეხბურთელსაც ვურეკავდით, ოღონდ წარუმატებლად, შემდეგ კი ბერძენ კოლეგას ლარი სურკასს მივმართეთ და პასუხიც მივიღეთ: „მაღრაძე, ორშაბათს, 21 მარტს აპირებდა თბილისში გამომგზავრებას, მაგრამ თვითმფრინავის სალონში ცუდად გახდა. აღმოჩნდა, რომ მას თვითმფრინავით მგზავრობის შიში აქვს. მაღრაძე აეროპორტიდან კლინიკაში მიიყვანეს, სადაც ექიმებმა უთხრეს, რომ მინიმუმ ერთი თვე არც კი უნდა, სცადოს თვითმფრინავში ასვლა“.

გუშინ კი მაღრაძემ საბერძნეთის თასის მეოთხედფინალის მატჩში ითამაშა „ლარისასთან“.



# რეჰაგელის საქართველო: ყველაფერი და არაფერი

**ოტო რეჰაგელმა**, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა, ორი ბერძნული გრანდის — „პანათინაიკოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ ისედაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ფანები, შესაძლოა კიდევ უფრო წაჰკიდოს ერთმანეთს და ამის მიზეზი საქართველოსთან 26 მარტის შესარჩევი მატჩი იქნება. საქმე ისაა, რომ რეჰაგელმა ჩვენებთან თამაშამდე ნაკრებს მიღმა დატოვა „ოლიმპიაკოსის“ ქომაგების ორი საყვარელი ფეხბურთელი — სტელიოს ვენეტიდისი და გეორგიოს გეორგიადისი. მათ ნაცვლად კი თბილისში პანათინაიკოსელები, ლუკაშ ვინტრა და ფანის გეკასი მოჰყავს. აღსანიშნია, რომ ვინტრაც და გეკასიც ნაკრების დებიუტანტები არიან. ოტო რეჰაგელი, საქვეყნოდ ცნობილია, დებიუტანტებს ძვირად წყალობს, თუმცა ამჯერად ევროპის ჩემპიონმა მწვრთნელმა ჩვეულ გზას გადაუხვია და ჩვენი ბერძენი კოლეგებიც გააკვირვა.

სხვა მხრივ კი...

— უკვე ოთხი წელია, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი ვარ. ამ ხნის განმავლობაში ჩატარებული ყველა მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასი იყო — ყველაფერი, ან არაფერი. ასეთი პრინციპით ვითამაშებთ თბილისში საქართველოსთანაც — თქვა ბერძნების მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა გუშინ, ათენში გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ტრაიანოს დელასის არ ყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. ის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და უმისოდ ძალიან გაგვიჭირდება. დელასის ტრავმა სამწუხაროა, მაგრამ, რაღა დაგვრჩენია, რეალობას შეგუებულნი ვართ. სამაგიეროდ, თბილისში, ალბათ, ითამაშებს მიხალის კაპსისი, ექიმებმა ის ამ დილით გასინჯეს და დაგვაიმედეს, მატჩამდე გამოჯანმრთელდებაო. დელასის ნაცვლად კი დაცვის ცენტრში ან კირიაკოსი ითამაშებს, ან ბასინასი ანაც კაცურანისი.

— სათბილისო ტაქტიკას არ გავარჩევ. ვითამაშებთ მოსაგებად. როგორ? ხმამაღლა არ ვიტყვი.

— საქართველოსთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ და მეორე ადგილი გავიმყაროთ, შემდეგ კი ჯგუფში პირველობისთვის ვიბრძოლოთ.

— მართალია, შესარჩევ ეტაპზე თამაში ცუდად დავიწყეთ და ალბანეთში წაგების და თურქეთ-უკრაინასთან ფრეების შემდეგ, ცოტა არ იყოს შევწუხდით, მაგრამ მერე ყაზახეთსა და დანიას მოვუგეთ, სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოვისწორეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედიც გაგვიათმაგდა. ვეცდებით, ეს შანსები საქართველოსთან მატჩის შემდეგ კიდევ უფრო რეალური გავხადოთ.

— გუნდს არც ერთი მეტოქის არ უნდა ეშინოდეს, საბერძნეთის ნებისმიერი ნაკრების დამარცხება შეუძლია, ოღონდ იმ შეცდომების გამოსწორება გვმართებს, რაც წინა მატჩებისას გვქონდა — ამბობს ოტო რეჰაგელი, ვინც საბერძნეთის ნაკრებს თბილისში დღეს ჩამოუძღვება.

**კობა ინასარიძე**

# ბერძნული ფილოსოფია

## ჩვენ ჩვენი თამაში თუ ვითამაშეთ

**საბერძნეთის** ნაკრებს გუშინ სათბილისო მზადების მეორე დღე ჰქონდა. ტრაიანოს დელასისა და მიხალის კაპსისის ტრავმაზე უკვე გეცოდინებათ — „რომას“ მცველის საქართველოში თამაში გამოირიცხა, ბორდოელის იმედი კი ოტო რეჰაგელს ჯერაც აქვს. „მეფე ოტოს“ მათ ნაცვლად ახალი ფეხბურთელები არ მიუწვევია. ნაკრებს კი ყველაზე ბოლოს, გუშინ საღამოს შეუერთდა „პორტუს“ მცველი იურკას სეიტარიდისი, რომელიც პორტუგალიის ჩემპიონატის წინა ტურში „სპორტინგთან“ მატჩში გაამევეს.

ბერძენი ფეხბურთელები მშვენიერი განწყობით ჩამოდიან თბილისში, უსიკვდილო სამ ქულას გეგმავენ, თუმც ზოგიერთი ფრესაც მშვიდად „ახსენებს“.



ბერძენთა ერთ-ერთი ლიდერი სტელიოს იანაკოპულოსი დიდ გულზეა

აი, მათი პატარ-პატარა ნაუბარი...

*იოანის გუმასი:* „საქართველოს კარგი შანსი ეძლევა იმ მხრივ, რომ ჯერ ერთი, სახლში თამაშობს და მეორეც, გაათმაგებული სტიმული ექნება. ტრადიციულად, ყველა მატჩი სხვადასხვანაირია, მაგრამ ალბანეთთან თამაშამდე, თბილისში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ისე, ერთი ქულაც არ იქნება კატასტროფა.“

*კოსტას ხალკიასი:* „ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თამაში იქნება შესარჩევ ჯგუფში. მოგება დიდ უპირატესობას მოგვცემს და მეორე ადგილზე გავმაგრდებით, ფრე კი ნაღდად არ გვაწყობს.“

*სტელიოს იანაკოპულოსი:* „თბილისში ერთი ქულაც რომ ავიღოთ, მაინც კარგი შანსები დაგვრჩება. ერთი კი ვიცი, ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად ჩვენ, დანია და უკრაინა ვიბრძოლებთ. ახლა მხოლოდ საქართველოზე ვფიქრობთ, ალბანეთი კი მერე. გეხსომებათ, ევრო-2004-ის შესარჩევი ციკლიც ცუდად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ 6 თამაში მოვიგეთ და ახლაც ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მოკლედ, საქართველოშიც და ალბანეთთანაც შინ მოგება გვინდა.“

*ლუკაშ ვინტრა:* „ოტო რეჰაგელმა პირველად გამომიძახა ნაკრებში და თამაშის საშუალება თუ მომეცა, თავს არ დავზოგავ. თბილისში ძნელი მატჩი იქნება, საქართველო შედეგებით ამტკიცებს, რომ კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენი თამაში თუ ვითამაშეთ, აუცილებლად მოვიგებთ.“

**ილია ნანობაშვილი**

# ჩალაძე ვენტაშია

**საქართველოს** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დავით ჩალაძე ლატვიურ „ვენტაში“ვარჯიშობს. ჩვენებურის ტრანსფერი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმც ლატვიელი ჟურნალისტების თქმით, ჩალაძე ალბათ კონტრაქტს გააფორმებს.

— თავდასხმაში პრობლემები აღარ გვაქვს. ეგაა, თუ ჩალაძე დაგვიმტკიცებს, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია, სიამოვნებით მივიღებთ — განაცხადა „ვენტას“ გენერალურმა მენეჯერმა როს აკმენსმა.

შეგახსენებთ, რომ ჩალაძე ბოლოს კვიპროსულ „ანართოსისში“ თამაშობდა, მანამდე კი ლატვიურ „სკონტოში“, რუსულ „ალანიაში“ და „რუბინში“ გაჰქონდა გოლები.

**კახა შალამბერიძე**

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ალოა 2:2 მორტონი

## პოლონეთი

I ლიგა. გადადებული მატჩი
ლეჩნა 1:1 პოლონია
თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
პოდბესკიდზე 1:1 პოგონი
კოზარავა 2:2 კორონა

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა
XXIII ტური
ვინტერთური 0:1 კრინსი
ლუგანო 3:0 ბადენი
კონკორდია 1:1 სიონი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ოსნაბრიუკი 1:1 დორტმუნდი (მ)
ზანკტ პაული 1:0 პადერბორნი
იურდინგენი 1:3 მიუნსტერი
ვუპერტალი 1:0 ქემნიცი
არმინია (მ) 0:1 ჰერტა (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ჰოფენჰაიმი 0:2 ვეჰენი
მაინცი (მ) 2:1 კიკერსი

## ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
უოკინგი 1:1 სკარბორო

## საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი
ქსანთი 4:1 ლარისა

# თვალი თვალი



*რა გიხარიათ? სად გარბიხართ?!*

*თქვე დალოცვილებო, მოედანზე სირბილს თუ ოცნებობთ, არ ჯობია, არასათამაშო დღეს რომ მიხვიდეთ სტადიონზე, დირექციას თხოვოთ და ირბინოთ რამდენიც გინდათ?!*

*მოედნის დამცავ ღობეებზე გადაძრომაც არ დაგჭირდებათ და ხელსაც არავინ შეგიშლით — ირბინეთ გულის მოოხებამდე.*

*ოფიციალური მატჩების დროს კი თავი დაგვანებეთ, ნუ დაგვტოვებთ უფეხბუროთოდ!*



საქართველოს ნაკრები გულშემატკივარს: ჩვენ თქვენი იმედიც გვაქვს!

# ალენ ჟირესის მთავარი მიზანი: დეზორგანიზაცია და დისციპლინის მოშლა

**გუშინ** ჩვენს ეროვნულ ნაკრებს შეკრების მეორე დღე ჰქონდა. გუნდის მეთაურმა ალენ ჟირესმა ჯერ პრესკონფერენცია გამართა, მერე კი ავლაბარში, „ოლიმპის“ სტადიონზე ჩაატარა წვრთნა.

— დღითიდღე ვუახლოვდებით საბერძნეთთან მატჩს და ვარჯიშებიც უფრო კონკრეტული და მიზნობრივი ხდება. ლევან მაღრაძის გარდა უკვე ყველა ფეხბურთელი ჩამოვიდა შეკრებაზე, მათ შორის ლევან ცქიტიშვილიც, ვისაც გრიპის გამო ერთი კვირა არ უვარჯიშია — მოგვახსენა ჟირესმა და მერე კითხვა-პასუხის დროც დადგა.

**— გუშინ უკვე ავარჯიშეთ გუნდი და როგორ ფიქრობთ, ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკის მქონე და არმქონე ფეხბურთელებს შორის დიდი სხვაობაა?**

— ბუნებრივია, განსხვავება ისაა, რომ ისინი სხვადასხვანაირ ფორმაში არიან. ყველანაირად ვცდილობთ, ეს ფაქტორი დავარეგულიროთ, უთამაშებელ ფეხბურთელებს დამატებითი ვარჯიშებიც დავუნიშნეთ.

**— უთამაშებლები მეტწილად თავდამსხმელები არიან, ზოგს ხანგრძლივი უგოლო სერია აქვს...**

— ჩვენ გამოცდილი ფორვარდებიც გვყავს და მათზე ახალგაზრდებიც, მაგრამ მოტივაციის მხრივ ეს არაფერს არ წყვეტს. ნაკრებში შეუცვლელი ფეხბურთელები არ არსებობენ, ზოგი მიდის, ზოგი მოდის.

**— მაღრაძის ჩამოუსვლელობის მიზეზი რა არის?**

— ამ საკითხზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, ჯერაც ბუნდოვანია, თუ რატომ არ ჩამოვიდა მაღრაძე საბერძნეთიდან. მაღრაძის ნაცვლად



სხვა ფეხბურთელს ვეღარ გამოვიძახებთ, ეს უკვე დაგვიანებული იქნება.

**— გამოდის, რომ სარეზერვო სია არ გაქვთ — თუ რამდენიმე მოთამაშე დაშავდა ვარჯიშზე ან საბერძნეთთან მატჩში, მათი შემცვლელები არ გეგულებათ?**

— ისიც შესაძლოა, საბერძნეთან თერთმეტივე მოთამაშე დაშავდეს — არაფრის გარანტია არ გვაქვს, მაგრამ ასეთი საფრთხის გამო ფიქსირებულ სიას ვერ გავზრდით.

**— კონკრეტულად მაღრაძის შემცვლელი თუ მოგეპოვებათ ნაკრებში გამოძახებულთა შორის?**

— მაღრაძის შემცვლელის მოძებნა არ გაგვიჭირდება. მისი არჩამოუსვლელობა უფრო ადმინისტრაციული პრობლემა უნდა იყოს, ვიდრე წმინდა სპორტული.

**— ბერძნებს დაცვის ლიდერი, ტრაიანოს დელასი არ ეყოლებათ — ეს ჩვენთვის დიდი შეღავათია?**

— იმედი მაქვს, რომ დელასის არყოფნა დაცვის ხაზში ბერძნებს მცირე პრობლემებს შეუქმნის, რაც ჩვენ ალბათ წაგვადგება, თუმც საბერძნეთის ნაკრებს აქვს იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა ითამაშოს უდელასოდ.

**— მიშელ პლატინი როდის ჩამოვა თბილისში?**

— პლატინი თურქეთთან მატჩის დღეს ჩამოვა და თამაშს დაესწრება, შეხვდება ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს.

**— ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი და ეს როგორ იმოქმედებს ბერძნებთან მატჩისთვის?**

— კლიმატური პირობები არანაირ პრობლემას არ შეუქმნის ფეხბურთელებს.

**— პრემიების საკითხი რამდენად მნიშვნელოვანი იქნება?**

— პრემია მთავარი არ არის და თუ ვინმესთვის პრემია უმთავრესია, ეს არც თუ სასიამოვნო ფაქტია.

**— რა იქნება მთავარი ფაქტორი ბერძნებთან წარმატებულად თამაშისთვის?**

— ვიყოთ ბერძნებზე უკეთესები და მეტოქეზე ერთით მეტი გოლი გავიტანოთ. მთავარია, ბერძნების დეზორგანიზაცია, სათამაშო დისციპლინის მოშლა მოვახერხოთ.

ეს იყო და, ნაკრები თავისი მთავარსარდლითურთ ავტობუსში აბრძანდა და სასტუმრო „ბატესტადან“ „ოლიმპის“ სტადიონზე გადაინაცვლა. გუშინდელი წვრთნა გუშინწინდელისგან განსხვავებული გამოდგა. ვარჯიში ძირითადად ორი ნაწილისგან შედგებოდა — ჯერ ცენტრიდან გრძელი გადაცემით ბურთის ფლანგებზე გადატანა და იქიდან საჯარიმოში ჩაწოდება იყო, შემდეგ კი ორკარა გაჩაღდა — თუ გუშინწინ „ორგოლობანა“ მოედნის პატარა მონაკვეთზე გაიმართა, გუშინ მოედანი 70 მეტრამდე „გაიზარდა“ და ორი ათკაციანი გუნდი ეპაექრა ერთმანეთს. ჟირესმა ახალგაზრდული ნაკრებიდან ვიტჯორჯიელი ირაკლი ებანოიძე ინათხოვრა (მხოლოდ ვარჯიშისთვის), რადგან მაღრაძის ჩამოუსვლელობის გამო ერთი კაცი აკლდა.

ორმხრივი მატჩისას გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

A: დევაძე, მჟავანაძე, კალაძე, ებანოიძე, გოგუა, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, კობიაშვილი, იაშვილი, აშვეთია.

B: ლომაია, შაშიაშვილი, ხიზანეიშვილი, ამისულაშვილი, ასათიანი, ბურდული, ჯაკობია, არველაძე, დემეტრაძე, კვირკველია.

A გუნდში აკაკი დევაძეს მირზა მერლანი ენაცვლებოდა. ხოლო ლევან ცქიტიშვილი ცალკე, მსუბუქად ვარჯიშობდა.

„ორკარა“ მიხეილ აშვეთიას გოლით A გუნდმა მოიგო 1:0.

**დავით თამართჭილაძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***





# ზესტაფონი უცხოელებს უმიზნებს

**ზესტაფონში** რომ საფეხბურთო ბუმია, არახალია. უკვე წესად იქცა — კლუბის საშინაო მატჩებზე იმდენი მაყურებელი დადის, ტურის დანარჩენ ოთხ თამაშზე ერთად აღებულს რომ ორჯერ აჭარბებს.

ზესტაფონური აჟიოტაჟი საქართველოს გასცდა და აი, იმერული გუნდის შესახებ საკმაოდ ვრცელი მასალა გამოჩნდა ცნობილ რუსულ ყოველკვირეულ ჟურნალში „მიროვოი ფუტბოლ“.

მასალის („იმედი ბოლოს კვდება“) ავტორი, „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძე ნათლად აღწერს კლუბის დღევანდელ მდგომარეობას, საქართველოს ჩემპიონატსა და თასზე გამოცხადებულ ათმატჩიან წაუგებელ სერიას, კლუბის ხელმძღვანელობის სწორ მუშაობას, ასევე სამომავლო გეგმებს. ზეიმი კი მაშინ ნახეთ, „ზესტაფონი“ ევროსარბიელზე თუ გააღწევს და კიდევ...

როგორც სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, კლუბი კვლავ ფეხბურთელების დამატებას ცდილობს და უცხოურ ბაზარზეც კი გავიდა. შესაძლოა, „ზესტაფონში“ სულ მალე უცხოელი მოთამაშე ნახოვდეს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტულად ფეხბურთელის გვარი ვერ ჯერ შევიტყვეთ

**ილია ნანობაშვილი**

# აბრამიძე ფაკელმა იუარა

**ვორონეჟის** „ფაკელმა“ უარი თქვა ქართველ მცველ ვალერი აბრამიძესთან კონტრაქტის გაფორმებაზე. ეს ინფორმაცია რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ გუშინ გაავრცელა.

აბრამიძე ორიოდ კვირის განმავლობაში „ფაკელთან“ ერთად ემზადებოდა, თუმც ახლა ისევ გუნდის მოძებნა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურს მას შემდეგ აერია საქმეები, რაც პირველდივიზიონელი „ხიმკიდან“ აიბარგა. „ფაკელამდე“ კი აბრამიძეს ვლადიკავკაზის „ალანიას“ ვარიანტიც ჩაეშალა.

**კახა შალამბერიძე**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

26 მარტის
საქართველო – საბერძნეთის
შესარჩევი მატჩის
აკრედიტაციები,
განაცხადების ადრე
წარმდგენლებმა,
მოიკითხეთ დღეს,
ფეხბურთის ფედერაციაში,
19 საათზე.

**geo_geo_fan@hotmail.com**

# ლოდინით დაღლილი ხალხი ითხოვს: პენალტი? არა, გოლი!

დიდი მატჩის ორი ბილეთი აქამდე თუ არ გიყიდიათ, ამბობენ, ვეღარც იყიდით, გაიყიდაო.

თუმცა მაინც სცადეთ, ეგებ მცდარ ინფორმაციას ავრცელებენ.

ბილეთი იქით იყოს და სხვა რამესაც ამბობენ: ბერძნებს თუ მოვუგებთ, თურქები თამაშს მოგვცემენ მიშელ პლატინის ხათრითო. პლატინი კი მერაბ ჟორდანიას ხათრით გვიიმასქნებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლასო.

რას არ გაიგებ კაცი!

ახლა კი, რეალური ხალხის რეალურ მოსაზრებებს გავეცნოთ, იმ ხალხისა, რომლებმაც არ დაიზარეს და ჩვენს მიერ გამოცხადებულ მისამართზე იმეილები აფრინეს.

MEZVRO: *გაუმარჯოს „სარბიელს". ვის არ უნდა, რომ გავიმარჯვოთ. მეც გულის სიღრმეში იმედით ვარ აღვსილი, მაგრამ... არცთუ დიდი არჩევანია ფეხბურთელებში: უთამაშებელი მოთა და „ხიზანა", ფრაიბურგელთა ცუდი ფორმა... სამშაბათის „სარბიელს" რომ ვადავავლე თვალი, სტატისტიკით ქართველებს ბოლო ევრო-უიქენდზე „კალას" და ერთი-ორის გარდა არაფერი ღირებული არ გაუკეთებიათ. არ ვიცი „კალა", „კობი" და ასათიანი მარტონი რამდენად გაუმკლავდებიან ბერძნებს. თავდამსხმელის და მეკარის პოზიციაზე მაგრად მოვიკოქლებთ.*

*თუ ეს ნაწილი ნეგატიურ ფონს შექმნის, ამოჭერით...*

*ვაგავრძელე. ბერძნებთან გამარჯვება დიდი მუხტის სანინდარი იქნება, თურქეთთან ხალხის მოზღვავებას და დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს. ნაგება კი პირიქით თურქებზე ლამის ცარიელ ტრიბუნას და ხასიათის ნახდენას. ასე რომ, ჩემი აზრით, ბერძნებთან ეს პირველი თამაში ლამის ექვსი ქულის ტოლფასია. საბერძნეთთან უკნიდან უნდა ვითამაშოთ. ბერძნებმა რაც გააკეთეს ევროპაზე, ახლა ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ იგივე. კონტრშეტევებზე თამაშს შეჩვეული ელინები დიდ კომფორტს არ იგრძნობენ, როცა „მათ ფეხბურთს" ჩვენ ვეთამაშებით. და თუ შეცდნენ და გაიხსნენ, მერე კი უნდა ვეცადოთ, ჩვენი შანსის გამოყენება. კარგად.*

პირველ რიგში, კმაყოფილებით შევნიშნავთ, რომ ჩვენს გაზეთში ლეგიონერთა რუბრიკას მკითხველი ჰყავს. MEZVRO-ს უთუოდ უნდა დავეთანხმოთ, რომ საქართველოს ნაკრებს 11 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი არ ჰყავს და იმათგან, ვინც ჰყავს, ყველა სასურველ ფორმაში არ არის. იმაშიც უნდა დავეთანხმოთ, რომ მატჩი ექვსქულიანია. ერთი სიტყვით, MEZVRO-ს მხოლოდ იმაში არ დავეთანხმებით, რომ მისი წერილის პირველმა ნაწილმა შესაძლოა ნეგატიური ფონი შექმნას. ხოლო რაც შეეხება კონტრშეტევებს, ამაზე პირველ რიგში ალან ჟირესი უნდა დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს.

GBERIDZE_1987: *ჩემი აზრით, იმაზე საუბარი, რომ დღეს საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის საუკეთესო შანსი აქვს, არასწორია. გავიხსენოთ კორეა-იაპონიის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი. ჩვენ ხომ სულ ცოტა დაგვაკლდა პლეი ოფში გასასვლელად. მხოლოდ რუმინეთისთვის უნდა მოგვეგო სახლში, მაგრამ... ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ დამთავრდა ის თამაში. რაც შეეხება ნაკრების უახლოეს შეხვედრას, მგონია, რომ ევროპის ჩემპიონები კონტრშეტევებზე და სტანდარტულ სიტუაციებზე ააგებენ თამაშს. ხოლო მეორე ტაიმის შუა ნაწილიდან (ცნობილია, რომ ჩვენ ნაკრებს ამ დროს ყოველთვის მცირე დაღმასვლა ეწყება) სადავეების ხელში ჩაგდებას შეეცდებიან. მიმაჩნია, რომ მატჩის შედეგი მეტწილად ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაზე იქნება დამოკიდებული. ანუ ვინც უფრო მალე დაიღლება, ის წააგებს.*

ეჰ, წინა მუნდიალის შესარჩევ ჯგუფს ნუ გაგვახსენებთ... თუმც საქმე რაშია — რა თქმა უნდა, რუმინეთი და უნგრეთი უფრო სუსტები არიან, ვიდრე საბერძნეთი და თურქეთი, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, როგორი იყო მაშინ თავად საქართველოს ეროვნული გუნდი, რომელსაც ეროვნულობისა, ვალიაროთ, არაფერი ეცხო. ჰოდა, როცა ახლანდელ შანსებზეა ლაპარაკი, უამრავი ადამიანი სწორედ იმის იმედადაა, რომ ჩვენი ახლანდელი ნაკრები მაშინდელზე უკეთესია. და თუ რატომ არის უკეთესი, ამაზე მომდევნო წერილის ავტორის მოსაზრებას გავეცნოთ.

SHIOLA_7: *გაუმარჯოს „სარბიელს". შეიძლება ითქვას, „სარბიელის" არც ერთი ნომერი არ გამიცდენია, აგერ უკვე ექვსი წელია, მაგრამ ეს ჩემი პირველი წერილია თქვენდამი. საქართველოს ნაკრებში ყოველთვის თამაშობდნენ კარგი და ნორმალური ფეხბურთელები, მაგრამ ყოველთვის გვაკლდა კვალიფიციური მწვრთნელი და ილბალი. ახლა ასე თუ ისე, ორივე ჩვენთანაა და შანსიც გაგვიჩნდა. შეიძლება ეს შანსი იმ მატარებლის ბოლო ვაგონია, რომელსაც წარმატებისკენ მივყავართ. მაგრამ იმედი მაინც გვაქვს, თანაც არა უსაფუძვლო. მთავარია, 26-ში საბერძნეთს მოვუგოთ, და თუ ეს მოვახერხეთ, ვფიქრობ, თურქეთსაც გავუშვებთ სახლში უქულოდ. ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო. აბა, 26-ში და 30-ში გამარჯვებამდე. ნახვამდის.*

ნახვამდის. ახლა კი ლოდინით დაღლილი კაცის წერილი წავიკითხოთ, რომელიც ჩვენი რუბრიკის მუდმივი ავტორია და საბერძნეთთან რევანშის აღებას იმ დროიდან ელოდება, არგონავტებმა ოქროს საწმისი რომ გაიტაცეს და ცხადია, დაიღლებოდა...

A.METREVELI: *შაბათისთვის ყველა ერთად უნდა მოვემზადოთ. ეს ორი მატჩი ან წლინახევრით გაგვიქარწყლებს საფეხბურთო აზარტს, ან ცხელ შემოდგომას დაგვპირდება. ჩვენ ლოდინით დაღლილი ხალხი ვართ, იმდენად დაღლილი, რომ ხშირ შემთხვევაში საქომაგოდაც არ გვყოფნის ძალა. პრინციპული მატჩი არასოდეს მოგვიგია და რთულია ეს 26-ში მოვთხოვოთ. ვერ მოვითხოვთ, მაგრამ... გთხოვთ და გემუდარებით, დაიბრუნეთ ოქროს საწმისი სამი ქულის სახით!*

სხვა რა გითხრათ, სატურნიროთ თვალსაზრისით პრინციპული მატჩი მართლა არასდროს მოგვიგია (რუსებთან სხვა სახის პრინციპული მატჩი იყო) და ახლა თუ ვერ დავაგროვეთ ქულები, ყაზახეთთან და ალბანეთთან ნაღდად არ გაივსება სტადიონი. ხოლო როგორ უნდა დავამარცხოთ საბერძნეთი, ამის რეცეპტს ახლავე გაახლებთ.

KAKHAILIA: *მატჩის 39-ე წუთი: ასათიანი შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მას ძალზედ უხეშად ეთამაშება ბერძენთა მცველი კირიაკოსი... პენალტი? არა, ბურთი მისდის კობიაშვილს და მსაჯი თამაშს არ აჩერებს... დარტყმა (ეს წამიერი პაუზაა გულებში) და „კობი" შენ გენაცვალეეეეეე!!!!!!! არის, არის, არის!!!!!!! საქართველო უუუჰჰჰხხხ! ელადოს ეხ! მეფე ოტო მოკვდა, გაუმარჯოს მეფე ალენს!*

მართლა, უუუჰჰჰხხხ! ამ წერილის ავტორს არ უნდა მიანდო დავით აღმაშენებელზე ფილმის სცენარის დაწერა?!

თქვენ კი, პატივცემულო მკითხველებო, ჯერ ჩვენი რუბრიკისთვის დაწერეთ რამე.

**WEB-ოსტატი ბუარა**

**geo_geo_fan@hotmail.com**



# კოლეგებო, გაწით ...

**ოპერატორი** შტატივს შლის, კამერას ამაგრებს და პრესკონფერენციაზე მეგაზეთე ჟურნალისტების წინ შეუდგება ხოლმე საქმეს. ასეთი ოპერატორი კი რამდენიმეა და მეგაზეთე ჟურნალისტმაც ალენ ჟირესის თუ რაგინდარა რესპონდენტის ნაცვლად ოპერატორთა ზურგს და საჯდომს უნდა უცქიროს...

მოკლედ, ასეთი ხვედრის ატანა შეუძლებელია. ზრდილობას და კოლეგიალობას რომ თავი დავანებოთ, პრესკონფერენცია აუდიო-ღონისძიება არ არის, ის თვალითაც უნდა აღიქვას როგორც რესპონდენტმა, ასევე კორესპონდენტმა.

ჩვენ ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაგრამ დროა ნელ-ნელა გავიზარდოთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თუ ქართულ კლუბთა პრესსამსახურებმა პრესკონფერენციის ცივილურად გამართვა მოახერხონ, ტელე და მეგაზეთე მედიას თანაბარი სამუშაო პირობები უნდა ჰქონდეთ.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველო ასეულს აბოლოებს

**გიხაროდენ,** ფიფა-კოკა კოლას ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრები მე-100 ადგილზეა, ანუ 5 თებერვლის შემდეგ ორი საფეხურით წავიწიეთ. ჩვენები კარგა ხანს ასეულს მიღმა იყვნენ, მაგრამ 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში მოგებამ რუბიკონი გადაგვალახინა. იმედია, მომდევნო რეიტინგ-სიის გამოქვეყნებისას ალენ ჟირესის გუნდს სულ მცირე 90-ეულში აღმოვაჩენთ...

რეიტინგმოთავე კი ცხადია, ისევ ბრაზილიაა, რომელსაც საფრანგეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ქართველთა სამი თანაჯგუფელი — საბერძნეთი, თურქეთი, დანია — კვლავაც ოცეულში ბინადრობს, უკრაინამ ალბანეთთან მოგებით 5 ქულა მიითვისა და სამი ადგილით აინაცვლა ზემოთ, „არწივები" კი ჯერაც თავზე დაგვყურებენ: 35 ქულით და 12 საფეხურით გვისწრებენ.

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 836 | 14 | 13 | *საბერძნეთი* | 711 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 782 | 15 | 15 | *თურქეთი* | 705 |
| 3 | 3 | არგენტინა | 777 | 15 | 18 | ურუგვაი | 705 |
| 4 | 4 | ჩეხეთი | 774 | 17 | 15 | *დანია* | 703 |
| 5 | 5 | ესპანეთი | 759 | 18 | 17 | გერმანია | 702 |
| 6 | 6 | მექსიკა | 752 | 18 | 18 | იაპონია | 702 |
| 7 | 6 | ჰოლანდია | 750 | 20 | 20 | ირანი | 689 |
| 8 | 8 | ინგლისი | 746 | 46 | 49 | *უკრაინა* | 595 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 740 | 88 | 87 | *ალბანეთი* | 509 |
| 10 | 10 | იტალია | 736 | 100 | 102 | საქართველო | 474 |
| 10 | 11 | აშშ | 736 | 149 | 149 | *ყაზახეთი* | 308 |
| 12 | 12 | ირლანდია | 714 | | | | |
| 13 | 13 | შვედეთი | 713 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა



ალექს ფერგიუსონს შესაძლოა, „მანჩესტერის" მწვრთნელობა აღარ ანდონ

# მარადიული არაფერია

## შეახსენეს სერ ალექსს

**გუშინ** ინგლისურმა გაზეთებმა ხმაური ატეხეს, „მანჩესტერ იუნაიტედის" უფროსობამ სერ ალექს ფერგიუსონს უთხრა, თქვენი თანამდებობა მარადიული არ არისო.

ეს ნიშნავს, რომ ფერგი, რომელიც 18 წელია გუნდშია და 16 ტიტული, მათ შორის ჩემპიონთა თასიც მოუპოვებია, შეიძლება გუნდიდან წავიდეს. მისი სამწლიანი კონტრაქტი სწორედ ივნისის პირველ რიცხვებში იწურება.

კლუბის პასუხისმგებელ შეფს, დევიდ გილს ასე დაუდასტურებია ეს ხმა: „დიახ, ყველას მოხსნა შეიძლება. ასეთია სპორტი. ახალი სეზონი მძიმე იქნება და ჩვენც გვინდა, რომ მძიმე იყოს."

ეს განცხადება კი იმას მოჰყვა, რომ ახალი წლიდან „მანჩესტერის" შემოსავლებმა იკლო, საერთოდაც განახევრდა. ამის მიზეზები სხვადასხვაა — გუნდის შედეგებით დაწყებული, დიდი დანახარჯებით დასრულებული.

ოღონდაც, გილმა განმარტა, რომ მისი სიტყვები მედიამ არასწორად გაიგო: „მე ის არ მითქვამს, რომ ჩვენ სერ ალექსი უნდა გადავაყენოთ. მე უბრალოდ ვთქვი, რომ ყველაფერს აქვს ბოლო. არავინ იცის, თუ რა იქნება 3, 5, 10 წლის შემდეგ. დღეს კი სერ ალექსთან ერთად ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს".

და მაინც, ეს გაფრთხილებაა. ალბათ ფერგიც ხვდება რომ ასეა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მეც მინდა

## ამბიციურმა ბეკენბაუერმა ამბიციური პლატინი დუელში გამოიწვია

**მიშელ პლატინის** სურს, რომ უეფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანც ბეკენბაუერმა კონკურენცია არ გაუწიოს.

„2006 წლამდე „კაიზერ ფრანცი" მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებითაა დაკავებული — თქვა ფრანცმა გერმანულ „შპორტ ბილდთან" საუბარში — მერე კი შეუძლია აკეთოს ის, რაც მოესურვება, მაგრამ სირცხვილი იქნება, რომ მან არჩევნებში მონაწილეობა მაშინ მოისურვოს, როცა მე კანდიდატურა უკვე წამოვაყენე. ფრანც ბეკენბაუერს უეფას პრეზიდენტის პოსტზე ათი წლის წინ უნდა ეფიქრა".

ამის პასუხად გერმანელმა განაცხადა: „პრეზიდენტობაზე ნამდვილად ვფიქრობ. მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვიყავი და საქმის კეთების ნამდვილად არ მეშინია. ჩემი აზრით, უეფას თავკაცობა მეტად საინტერესო იქნება, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჯერ უცნობია, ლენარტ იუჰანსონი ხელახლა იყრის კენჭს თუ არა. მე არ ვაპირებ მასთან არჩევნებში შეჯიბრს, რადგან იუჰანსონის საქმიანობით მოხიბლული ვარ და ის ჩემი მეგობარია".

რაც შეეხება პლატინის, ფრანც ბეკენბაუერი ამბობს: „მიშელ პლატინი ყოველთვის ამბიციური იყო. ბევრჯერ შევხვედრილვართ ერთმანეთს და მას კარგად ვიცნობ. არჩევნებში მონაწილეობას თუ მიიღებს, მჯერა, რომ ყველაფერი სამართლიან ბრძოლაში გადაწყდება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, იქნებიან თუ არა სხვა კანდიდატები, ამიტომ ჯერ უნდა მოვიცადოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**



მიშელ პლატინი და ფრანც ბეკენბაუერი ახლა ერთმანეთს კი უღიმიან, მაგრამ მერე...

# ლურჯი ყოველთვის ლურჯია

## უეინ რუნი პოლიციაში წაიყვანეს

**ამ დღეებში** მანჩესტერის პოლიცია უეინ რუნის დაკითხავს.

რატომ? მავანმა 22 წლის სტუდენტმა იჩივლა, რომ ღამის კლუბ „ტაიგერ ტაიგერში" 19 წლის რუნიმ მას უცენზურო სიტყვებით შეუტიაო.

რუნის, თურმე, ეწყინა იქ ნალაპარაკევი, მისი „მანჩესტერში" ტრანსფერის შესახებ, 23 მილიონი გირვანქა ნამდვილად არ ღირხარო და „ევერტონი" როგორ მიატოვე ფულის გულისთვისო.

ფეხბურთელის პრეს-მდივანმა ყოველივე უარყო, უცნობმა კაცმა დამცინავი ლაპარაკი შეგნებულად გაუბა და ის ღამის კლუბიდან გააძევესო.

ამ უცნობს დაუყვირია რუნისთვის — „ლურჯი ყოველთვის ლურჯია" — რაც „ევერტონის" ერთგულებას ნიშნავს.

უეინ რუნი კი ბარში ყოფილა რიო ფერდინანდთან, ვეს ბრაუნთან და როი კეროლთან ერთად.

ფეხბურთელს მაინც დაკითხავენ.

**ირაკლი გამყრელიძე**




უეინ რუნის ძვირიანობაში „ევერტონის" ფანებს ეჭვი ეპარებათ

# მიყვარს ასეთი მაურინიუ

## ის უნდა დავსაჯოთ





ფრანკ რაიკარდი ჟოზე მაურინიუს უხამსმა საქციელმა საგონებელში ჩააგდო

**ჟოზე მაურინიუს** აზრით, უეფა მას და „ჩელსის" არ დასჯის.

„მე და ის ხალხი, რომლებიც ამ საქმეში არიან გარეულები, ვვარაუდობთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება — თქვა პორტუგალიელმა სატელევიზიო გადაცემაში — ჩემი საქმე მწვრთნელობა, წინსვლა და მუდამ უკეთესი შედეგისკენ სწრაფვაა".

„ჩელსის" თავკაცმა მერე განაცხადა, ადვოკატმა მთხოვა, კომენტარებისგან თავი შემეკავებინა, მაგრამ არ გავჩუმდებიო: „ყოველთვის ასე ვიყავი. გულწრფელად გეუბნებით — არ მსურს შევიცვალო და მინდა, რომ 12-13 წლის შემდეგაც კარიერა ასეთივემ დავასრულო. ამიტომ მიყვარს ჩემი თავი, ამიტომ ვუყვარვარ „ჩელსის" ფანებს და სულ არ მაღარდებს, რას ფიქრობენ მაურინიუზე სხვა კლუბების ქომაგები. აი, ასეთი ვარ მე"

პორტუგალიელს პოპულარობაზეც ჰკითხეს, რაზეც მან მიუგო: „სინამდვილეში ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, ნეგატიურად აღიქვამენ. ყოველდღიურ ახალ ამბებში მაურინიუს ახსენებენ. ვფიქრობ, მათ მოსწონთ ჩემი პალტო, ვარცხნილობა, სახე, საქციელი და ჩემზე ლაქლაქი".

ფრანკ რაიკარდი კი იმ კაცის დასჯას ითხოვს, რომელსაც საკუთარი თავი ძალიან უყვარს. ჰოლანდიელი არაფერს ერჩის „ჩელსის", მაგრამ მის მწვრთნელზე ამბობს: „რაც მაურინიომ ჩაიდინა, დანაშაულია და ის საკადრისად უნდა დაისაჯონ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, ასე ხშირად იქცევა. მან ავნო ანდერს ფრისკს, „ბარსელონასა" და რაიკარდს. მუქარებით შეშინებულმა ფრისკმა მსაჯობა მიატოვა, ჩემი გუნდის რეპუტაცია კი შელახულია. ხოგმა შეიძლება ნამდვილად იფიქროს, რომ ბარსელონელები მსაჯს ქრთამს სთავაზობდნენ, როცა ანდერს ფრისკს ვესაუბრებოდი. მერწმუნეთ, მე არ მსურს „ჩელსის" დასჯა, რადგან გუნდი უდანაშაულოა, ხოლო ჟოზე მაურინიუს საკადრისი აუცილებლად უნდა მიეზღოს".

უეფას საგანგებო კომისია საქმეს იძიებს და განხილვა, როგორც უკვე იცით, 31 მარტს შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ
## გალიანიმ გატუზო ჩაუშვა

*გუშინწინ იტალიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თაობაზეც გუშინდელ „სარბიელში" გვეწერა. საქმე ჯენარო გატუზოსა და ჯუზეპე პანკაროს ეხებათ, რომლებმაც კვირას, „რომა" — „მილანის" მატჩის მერე სადოპინგოდ შარდი კი ჩააბარეს, მაგრამ სისხლის ანალიზის აღებაზე უარი თქვეს*



ჯენარო გატუზო: მეცინება, როცა დოპინგზე მელაპარაკებიან

**განვმარტოთ,** იტალიური კანონებით, სისხლის ანალიზის ჩაბარებაზე უარის თქმა დანაშაული არ არის და შესაბამისად, არც ისჯება, მაგრამ ეჭვის გაჩენის საფუძველს, რომ უარის მთქმელთა სისხლში შესაძლოა, რამე იყოს, რა თქმა უნდა, ბადებს. მეორეს მხრივ კი, გატუზომ და პანკარომ შარდი ჩააბარეს ანუ დიდი შანსია, სადოპინგო მამამხილებელ უბრალონი იყვნენ.

მაგრამ, ამ საქმეებზე ლაპარაკი არ წყდება და შეტევა უპირველესად ჯენარო გატუზოსკენ არის მიმართული. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ შაბათს, „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შოტლანდიას ხვდება, მილანელი ნახევარმცველი კი იტალიის ნაკრების სული და გულია.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ თქვა, ანალიზის ჩაბარებაზე უარის თქმა, საკმარისი მიზეზია, ორივე ეროვნული გუნდიდან რომ მოვკვეთოთ. კარარომ ისიც თქვა, ფეხბურთელი ერთხელ რომ იტყვის უარს დოპინგზე შემოწმებაზე, ეჭვის საფუძველი გვიჩნდება, ამიტომაც ის მთელი სეზონის განმავლობაში სისტემატიურად უნდა ვამოწმოთ.

ერთი სიტყვით, სახელის გატეხვას, თავის გატეხვა ჯობიაო — ფრანკო კარაროს ეგრე მოუვიდა.

ჯენარო გატუზომ კი, იქით შეედავეს მეთოდს მიმართა და „კორიერე დელა სერას" განუცხადა: „მე დოპინგზე ჩავარდნის არ მეშინია და თუ საჭირო გახდა, 10 ლიტრ სისხლსაც გავიღებ. პრობლემა სხვა რამეა: ფედერაცია თავის მოქმედებაში თანმიმდევრული უნდა იყოს. ხანდახან, რამდენიმე თვე ისე გავა, დოპინგკონტროლი არავის ახსენდება, მერე კი ისე იწყებენ შემოწმებას, ვითომც აქამდე მუდამ ამ საქმით იყვნენ დაკავებულნი. რაშია საქმე? თუ მართლა უნდათ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა, სისტემატიურად უნდა ატარებდნენ შემოწმებას და არა მაშინ, როცა გაახსენდებათ და მოეპრიანებათ. ყველა ფეხბურთელი თანაბარ პირობებში უნდა იყოს. მარტო ეგეც არ არის, წარმოიდგინეთ, „რომასთან" თამაში თორმეტის ნახევარზე დამთავრდა — ისიც ხომ გახსოვთ, როგორი მძიმე ბრძოლა იყო — ჰოდა, დაღლილ-დაქანცული მივდივარ ანალიზის ჩასაბარებლად, იმ ოთახში კი ვხედავ, სულ ცოტა ათი კაცი მაინც დგას და ყაყანებს. როგორ ხასიათზე დავდგებოდი? თუ უნდათ, მოვიდნენ და ახლა, მშვიდ გარემოში ამიღონ ანალიზი".

გატუზოს ამ სიტყვების პასუხად, პინო კაპუამ, ვინაც ფეხბურთის ფედერაციაში ანტიდოპინგური ოფისის ხელმძღვანელია, თქვა: „გატუზო რაღაცეებს იგონებს, მან შესანიშნავად იცის პროცედურა როგორაც ტარდება და თავის მართლება უსარგებლოა".

ამის მერე კაპუას ჰკითხეს, ახლა თუ ჩააბარებს გატუზო ანალიზს, პასუხი რამდენად ზუსტი იქნებაო.

პინო კაპუა: „ძნელი სათქმელია, მაგრამ ვფიქრობ, თამაშის დასრულებიდან 48 საათის გასვლის შემდეგ ჩაბარებული ანალიზი განსხვავებულ შედეგს მოგვცემს და ზუსტად ვერავინ იტყვის, 48 საათის წინ ფეხბურთელს ჰქონდა თუ არა რომელიმე აკრძალული პრეპარატი მიღებული".

ზემოთაც მოგახსენეთ, ფრანკო კარარომ გატუზოს და პანკაროს ნაკრებიდან მოკვეთაზე ჩამოაგდო სიტყვა-თქო. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, „სკუადრა აძურას" მწვრთნელის, მარჩელო ლიპის მოსაზრებაც ყურადსაღები უნდა იყოს. ლიპიმ თქვა: „მე მჯერა გატუზოსი, იტალიურ ფეხბურთში მისნაირი პროფესიონალი ბევრი არ გვყავს. ჩემს სათამაშო სქემაში რინოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია".

და ერთი კომენტარიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანიც. ის „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ეკუთვნის და ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრეა ნათქვამი: „ფეხბურთელი, რომელიც დოპინგზე შემოწმებას თავს აარიდებს, ფეხბურთს საერთოდ არ უნდა თამაშობდეს. ასეთებს პროფესიის გამოცვლას ვურჩევ".

ამ სიტყვების თქმიდან რამდენიმე დღის მერე გალიანის ორმა ფეხბურთელმა სისხლის ანალიზი არ ჩააბარა...

**კოტე კეკელია**



მარჩელო ლიპი კვლავაც რჩეულ ფეხბურთელთა ძიებაშია

# ლიპი საუკეთესოებიდან საუკეთესოს აარჩევს
## კასანო განსხვავებულია

**დამდეგ** შაბათს იტალიის ეროვნული ნაკრები შოტლანდიის წინააღმდეგ საკმაოდ მნიშვნელოვან მატჩს გამართავს.

მწვრთნელ მარჩელო ლიპის ამ შეხვედრაში ორი წამყვანი მცველი — ალესანდრო ნესტა და ჯანლუკა ძამბროტა რომ არ ეყოლება, უკვე იცით. პირველ მათგანს ტრავმა აქვს, ხოლო მეორე დისკვალიფიცირებულია. გარდა ამისა, გაირკვა, რომ არ იქნება ვინჩენცო მონტელაც. თუმც „სკუადრა აძურას" თავკაცი პრობლემებზე ნაკლებად საუბრობს და ტრადიციულად ოპტიმისტურად არის განწყობილი. ლიპი აქცენტს უფრო ანტონიო კასანოზე აკეთებს და მისი სუპერთამაშის მოლოდინშია.

„ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მე კასანოსთან მუშაობის საშუალება მომეცემა. ამ მომენტს მოუთმენლად ველი, რადგანაც მინდა, საბოლოოდ ახლოდან დავაკვირდე და ვნახო, რა შეუძლია ამ ნიჭიერ ბიჭს. ის ერთ-ერთია იმ იშვიათ მოთამაშეთა შორის, რომლებსაც განსხვავებული უნარი აქვთ და გუნდისთვის მარტოს შეუძლიათ წარმატების მოტანა. განსაკუთრებით ვაფასებ ახალგაზრდა ფეხბურთელების შემართებასა და ჟინს, თუმც ყველამ უნდა იცოდეს უფროსების პატივისცემა და დისციპლინის დაცვა" — თქვა ლიპიმ.

ტაქტიკოსს „რომას" მეორე ფორვარდ ფრანჩესკო ტოტიზეც ჰკითხეს.

„იტალიურ ფეხბურთში ყოველთვის ძალიან დაძაბული ბრძოლაა და ხშირად ძნელია, ნერვები დაიოკო, თუმც ეს ყველამ უნდა მოინდომოს და შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო მოთამაშე კი არა, საერთო საქმე დაზიანდება, რაც დაუშვებელია. მესმის ფრანჩესკოსი, „რომას" ახლა რთული დროება უდგას, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არის".

ჟურნალისტები ლიპის ალექს დელ პიეროზეც ესაუბრნენ. ეს უკანასკნელი ამჯერად ნაკრებში ვერ მოხვდა, მაგრამ ახლა მონტელას ტრავმამ გარკვეული შანსი გაუჩინა.

„დელ პიეროს 10 წელი ვწვრთნიდი და ჩემზე უკეთ მას არავინ იცნობს. ძალიან მიხარია, რომ ალექსი ბოლო დროს ძველებურად ათამაშდა. მას ყოველ ორ კვირაში ვესაუბრები-ხოლმე და, ცხადია, 2006 წლის მუნდიალზე წასვლის დიდი შანსი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას, კრისტიან ვიერიზეც. უბრალოდ, ყოველ მატჩზე ერთი და იგივე შემადგენლობას ვერ გამოვიძახებ. შანსი ყველას უნდა მივცეთ, რათა გერმანიაში საუკეთესონი წავიდნენ" — განაცხადა ლიპიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# როგორც როზელა იტყვის
## ტოტი, კივუ და დელასი ქალის მოლოდინში

**იტალიური** „რომა", მიუხედავად არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობისა, ფეხბურთელებს ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, ფრანჩესკო ტოტიმ, კრისტიან კივუმ და ტრაიანოს დელასმა ერთმანეთის მიყოლებით შეჰფიცეს კლუბს ერთგულება — არსად წასვლას არ ვაპირებთ, აქ ძალიან ბედნიერები ვართო.

რეალურად კი გარკვეული და გაწყვეტილი არაფერია. ტოტი დედაქალაქელთა ხელმძღვანელობისაგან შემადგენლობის გაძლიერებას და გრანდებისგან წინადადებებს ელის. კივუს მილანის „ინტერი" არ ეშვება, ხოლო დელასი შედარებით ხანგრძლივ კონტრაქტსა და ხელფასის გაზრდას ითხოვს.

როგორც აპენინური პრესა იუწყება, დედაქალაქელთა კაპიტანმა სულ მცირე, კიდევ ერთი წლით დარჩენა გადაწყვიტა გუნდში და მხარეები მალე ახალ შეთანხმებას მოაწერენ ხელს. ალბათ ყველაფერს ნათელი მაშინ მოეფინება, როცა ტოტი და „რომას" დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი როზელა სენსი ერთმანეთს შეხვდებიან.



ფრანჩესკო ტოტი თავის მომავალზე „რომას" უფროსობას საბოლოოდ მოელაპარაკება

თუმც, თუ მადრიდის „რეალი" კვლავ გამოთქვამს ტოტის შეძენის სურვილს და სერიოზული წინადადებით მიმართავს, ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს 27 წლის იტალიელი. შეგახსენებთ, რომ მისით „ჩელსი", „ინტერი" და მილანიც" არიან დაინტერესებულნი.

რომაელთა რუმინელი ლეგიონერი კრისტიან კივუ კი დედაქალაქელთა უფროსობას უკვე შეხვედრია და განაცხადა, ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, აქ ძალიან ბედნიერი ვარ და არსადაც არ წავალო.

როგორც ამბობენ, „ინტერი" კივუს სანაცვლოდ „რომას" 8,25 მილიონ ევროს და კარლოს გამარას, გეორგიოს კარაგუნისს ან ემრეს სთავაზობს. „ინტერს" რუმინელის ხელში ჩასაგდებად მეორე ვარიანტიც ჰქონია მზად — შედარებით ნაკლები ფული და მარკო მატერაცი ან ივან კორდობა.

ბოლო ტრაიანოს დელასზეც ვთქვათ — სულ რამდენიმე დღის წინ ბერძენი კლუბის დატოვებაზე ლაპარაკობდა და თითქოს გადაწყვეტილიც ჰქონდა ეს, მაგრამ ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ფეხბურთელის აგენტ მაურიციო ტონიკის თუ ვენდობით, მხარეები საერთო ენის გამონახვას მალე შეძლებენ.

„თუ აქამდე დელასის დარჩენის შანსი 20 პროცენტი იყო, ახლა ის უკვე 51 პროცენტია. ყველამ იცის, რომ ტრაიანოსს აქაურობა მოსწონს და დარჩენა სურს, თუმც ამისთვის ნაბიჯი კლუბმაც უნდა გადმოდგას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მალე შევთანხმდებით და ახალ სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ" — ამბობს ტონიკი.

**გიორგი ძაძამიძე**

# იკერ კასილიასი: ბუფონი ვერ შემაშინებს, მაგრამ...



**ამასწინათ** გავრცელდა, მადრიდის „რეალის“ შეფობას მომავალი სეზონისთვის „იუვენტუსიდან“ ჯანლუიჯი ბუფონის გადაყვანა უნდაო და „რეალის“ ამჟამინდელმა მეკარემ, იკერ კასილიასმაც პასუხი არ დააყოვნა.

**ABC**-სთვის მიცემულ ინტერვიუში კასილიასმა განაცხადა, რომ თუ კლუბში ბუფონის მოყვანა მართლა სურთ, უმჯობესი იქნება, სავარაუდო ტრანსფერის შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილონ, რადგან „რეალიდან“ აბარგებაზე და სხვა გუნდში გადასვლაზე დროულად იზრუნოს, მაგრამ....

იკერ კასილიასი: „კლუბის უფროსობამ უნდა გადაწყვიტოს, ჩემთან ახალ კონტრაქტს გააფორმებენ თუ არა. მესმის, რომ „რეალის“ დონის გუნდები მუდამ კარგ ფეხბურთელებს ეძებენ, თუმც უკეთესი იქნება, ბუფონის მოსვლის შესახებ წინასწარ თუ გამაფრთხილებენ. იცით, ფეხბურთს თავისი წეს-კანონები აქვს. ცხადია, მე კარს ვერავის ჩავუკეტავ და შესაბამისად, ახალი მოთამაშის მოსვლას ხელს ვერ შევუშლი, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, რას მიპირებენ? ერთიცაა, ბუფონთან კონკურენციის ნამდვილად არ მეშინია“.

ვიდრე ჯიჯი ბუფონის „რეალში“ მისვლა-არმისვლის საკითხი საბოლოოდ გაირკვევა, მანამდე იკერ კასილიასმა გუნდის მომავალზე და დამლუპველ მეტსახელზეც — „ელ გალაქტიკო“ — ილაპარაკა:

„ახლა გუნდს მძიმე პერიოდი აქვს, თუმც იმედი მაქვს, მალე ვითარებას ჩვენს სასარგებლოდ გამოვასწორებთ. მინდა საქვეყნოდ ვთქვა, ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და არავითარი „გალაქტიკოსები“. ამ საშინელ სახელს ჩვენთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. ამით კი იმის თქმა მსურს, რომ შეცდომებიც მოგვდის“.

**ლადო ხომერიკი**

# დიეგო ბავშვების სამსახურში UNICEF-ის ელჩი ერთ დოლარად

*ესპანური „ვილიარეალისა“ და ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი დიეგო ფორლანი გუშინ, ურუგვაიში UNICEF-ის ელჩად დანიშნეს*

„**გაეროს** ამ გადაწყვეტილებამ ძალიან გამახარა და ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რათა ჩემს სამშობლოში თითოეულ პატარას ისეთივე საუცხოო ბავშვობა ჰქონდეს, როგორიც მე მქონდა“ — განაცხადა ფორლანმა მონტევიდეოში გამართულ ცერემონიაზე.



— არა, როგორც ექიმებმა მითხრეს, კოჭის ტკივილი თავისით გამივლის. ისე, მკურნალობა ვარჯიშში ხელს არც აქამდე მიშლიდა, ტრავმა რომ მივიღე, მომდევნო თამაშშივე განაცხადში ვიყავი, ოღონდ მოედანზე არ გავდიოდი.

**— ესე იგი, შენი უთამაშებლობა მთლიანად ტრავმის ბრალია და მწვრთნელთან ურთიერთობა არ გაგრთულებია?**

— ფაქტია, რომ სანამ ტრავმას მივიღებდი, მოედანზე 10-15 წუთით სისტემატურად გავდიოდი. მწყობრში მალე ჩავდგები და მწვრთნელის ნდობასაც ალბათ კვლავ ავიღებ.

**ირაკლი პერტაია**

# თსუ-ს გადა გადაუწყვეს

## მოთმინებითა შენითა, დალიე კოკა-კოლა

**კალათბურთის** ფედერაციამ გუშინ თავის თსუ-სადმი ულტიმატუმს გადახედა და სტუდენტური გუნდის მიმართ გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ფედერაციამ განაცხადა, თუ თსუ ჩემპიონატში სამონაწილეო 8300 ლარს სრულად არ დაფარავს, ეს ტური და მომდევნოში ვეღარ ითამაშებსო. მამუკა ტურაშვილის გუნდს მაისურების ფული არ ჰქონდა და ამხელა თანხის გადამხდელიც, ცხადია, არ იყო, თუ მას სახელმწიფო უნივერსიტეტი არ დაეხმარებოდა. „ცოდნის ტაძარიც" ყველანაირად ცდილობს, საკალათბურთო გუნდი შეინარჩუნოს, მაგრამ ამას ჯერჯერობით მთლად წარმატებით ვერ ახერხებს.

ხვალ უნივერსიტეტის რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად კიევში მიემგზავრება, თუმც წასვლამდე კალათბურთელებს საქმე ნაწილობრივ მოუგვარა. ამ დღეებში ფედერაციაში იმ თანხის ნაწილი ჩაირიცხება, რაც თსუ-ს გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობისთვისაა საჭირო, დარჩენილი დავალიანების გადახდის ვადა კი ფედერაციამ თსუ-ს ათ აპრილამდე გადაუწია.

ესე იგი, თსუ მომდევნო ტურში, 27 მარტს, „ავიამშენთან" ითამაშებს და თუ კიევიდან დაბრუნებულმა რუსუდან ლორთქიფანიძემ „კოკა-კოლას" შეფი თემურ ჭყონია საბოლოოდ დაიყოლია, ეს კომპანია თსუ-ს სპონსორობას იკისრებს.

ამბობენ, ყველაფერი თსუ-სთვის კარგად დამთავრდებაო და ჩვენც ამის იმედად ვიყოთ...

**ირაკლი პერტაია**



რონ მეტრეველის რექტორობისას უნივერსიტეტის გუნდს თემურ ჭყონიას წყალობა არ აკლდა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

22 მარტი

**სიეტლი 92:84 მილუოკი**

სიეტლი: რიდნორი (21), მიურეი (13), ლუისი (29), ევანსი (2), ჯეიმსი (4); დანიელსი (10), პოტაპენკო (8), კოლიზონი (5), უილკინსი

მილუოკი: გოლდვაირი (9), რედი (22), მეისონი (21), სმიტი (6), გაძურიჩი (9 ქულა, 10 მოხსნა); კუკოჩი (5), ბუთი (4), ფიზერი (4), სტრიკლენდი (4), ფაჩულია (5 წუთი, 2 მოხსნა), გეინისი

**კლივლენდი 91:76 დეტროიტი**

კლივლენდი: ჯეიმსი (29), ილგაუსკასი (13)

დეტროიტი: რ. ვოლესი (25 ქულა, 10 მოხსნა), პრინსი (22)

**ატლანტა 94:105 ფინიქსი**

ატლანტა: ჰარინგტონი (16), სმიტი (14 ქულა, 12 მოხსნა)

ფინიქსი: სტუდემაიერი (40 ქულა, 13 მოხსნა), მარიონი (21 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (13 ქულა, 11 პასი)

**ნიუ ჯერსი 98:91 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: კარტერი (33), კიდი (16 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

ინდიანა: ჯექსონი (23), მილერი (18)

**დენვერი 127:98 ვაშინგტონი**

დენვერი: ჯონსონი (20), ნახერა (16)

ვაშინგტონი: არენასი (25), ჯეფრისი (15)

**იუტა 115:107 ლეიკერსი**

იუტა: ოქური (27 ქულა, 16 მოხსნა), ჰარპრინგი (23), გირიჩეკი (22), კირილენკო (18)

ლეიკერსი: ბრაიანტი (43), ეტკინსი (17), ჯონსი (17)

**ჰიუსტონი 84:82 მაიამი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (26), ვესლი (14)

მაიამი: ონილი (23 ქულა, 16 მოხსნა), ვეიდი (20), დ. ჯონსი (16)

**საკრამენტო 112:93 პორტლენდი**

საკრამენტო: ტომასი (24), სტოიაკოვიჩი (23), მობლი (19)

პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (27), სტუდემაიერი (25 ქულა, 11 მოხსნა), პრჟიბილა (13 ქულა, 21 მოხსნა, 8 დაფარება)

## მარილი ჭრილობაზე

### კობი ბრაიანტს კუდი მოსწყვეს

**„მაიამი ჰითის"** 12-მატჩიანი დაუმარცხებელი სვლა „ჰიუსტონ როკიტსმა" შეწყვიტა. მართალია, ჰიუსტონელებმა ფარს ვერ მოწყვიტეს მაიამელი დიდკაცი შაკილ ონილი — შაკმა თავისი წილი ქულა-მოხსნები მაინც მიითვალა, გრძელი ოპონენტი იაო მინგიც აწვალა, პერსონალურებიც ბევრი აჰკიდა და ნახევარი მატჩი სკამზე აყურყუტა. მაგრამ ონილმა თავისი ზორბა ტან-ხელ-ფეხით ბოლომდე ვერ დათრგუნა მოსაგებად შემართული ჰიუსტონელები.



მინგმა შეხვედრა მხოლოდ 12 ქულით და 6 პერსონალურით დაამთავრა საფინალო სირენამდე ექვსიოდე წამით ადრე, თუმც მისი საქმე სხვებმა აკეთეს. ტეხასელთა სათადარიგო ცენტრმა, 38 წლის ბეხრეკმა დიკემბე მუტომბომ 8 ქულასთან ერთად 15 მოხსნა მიაშველა ფარზე ჩაგრულ თავისიანებს. ქულების მოხვეჭა კი როგორც ყოველთვის, ახლაც ტრეისი მაკგრეიდიმ ითავა და მიუხედავად იმისა, რომ პირველ სამ მეოთხედში ბევრი ტყორცნა გააფუჭა, სამაგიეროდ ბოლო მეოთხედში იყოჩაღა. შეხვედრის გასრულებამდე ექვსიოდე წუთით ადრე მან კოხტად ჩამოიცილა მეურვე ედი ჯონსი და სამქულიანით 74:62 დააწინაურა მასპინძლები. მაიამელებსაც არ ეძინათ, მაგრამ მაკგრეიდი მაინც თავისას შვრებოდა და კიდევ ერთი სამქულიანი წარმატებით ტყორცნა, შემდეგ ეპიზოდში კი საკუთარი ნახევრიდან პასით მეტოქის ფართან მარტო დატოვა დევიდ ვესლი — მასპინძლებმაც 40 წამით ადრე რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. თითქოს ყველაფერიც აქ დამთავრა, მაგრამ „მაიამიმ" ნახევარ წუთში რაღაც მანქანებით შვიდი უპასუხო ქულა გამოჭედა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. ეგაა, მეტი ვეღარ მოახერხა და როგორც ზემოთ ვთქვით, მიჯრით 12 გამარჯვების შემდეგ წაგებას გაუსინჯა გემო.

მწვრთნელი შეიცვალა „კლივლენდ კავალიერზმა" — პოლ საილასი აშკარად ვეღარ მართავდა გუნდს, რომელიც მხოლოდ 20 წლის ლებრონ ჯეიმსის იმედად მყოფი აგებდა და აგებდა. საილასის ნაცვლად აღზევებულმა მისმა ასისტენტებმა ბრენდან მელოუნმა კი პირველივე შეხვედრა მოაგებინა „კავალერიას", თანაც ჩემპიონ „დეტროიტთან" და ნამატჩევს მილოცვაც მიიღო. ჟურნალისტთა ზომიერ შექებაზე დებიუტანტი მელოუნი თავდამბლად პასუხობდა — მე რა შუაში ვარ, ყველაფერი მოთამაშეთა დამსახურებააო. რაც შეეხებათ მოთამაშეებს, მათგან, რა გასაკვირია და, ისევ ჯეიმსი გამოირჩა 29 ქულითა და 6-6 მოხსნა-პასით.

საპლეიოფო რვეულისკენ ჯიუტად მიიწევს 2002 და 2003 წლების ფინალისტი „ნიუ ჯერსი", რომელიც „ტორონტოდან" ჩალის ფასად გადმოყვანილმა ვინს კარტერმა გამოაცოცხლა. სამშაბათს „ინდიანასთან" კარტერმა 33 ქულა მოინაგრა, ცოტა ჯეისონ კიდმაც წააშველა ხელი და „ნეტსმა" ზედიზედ მეხუთე მოგება ჩაიწერა. ეს გუნდი ახლა მეათე ადგილზეა კონფერენციაში და მერვეადგილოსან „ფილადელფიაზე" ორი მარცხით მეტი დაჰგროვებია, რაც საკმაოდ რეალურ საპლეიოფო შანსს აძლევს — 32 მოგება და 36 წაგება, ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის გუნდისთვის, რომელმაც სეზონი პირველად 13 შეხვედრაში 11 მარცხით დაიწყო და მთელი წლით დაკარგა საუკეთესო მექულე რიჩი ჯეფერსონი.

„ნიუ ჯერსი" ზემოთ და ზემოთ მიიწევს, სამაგიეროდ თამაშსა და თამაშს შუა იძირება 2002 წლის ფინალში მისი მძლეველი „ლეიკერსი". კობი ბრაიანტი საშურ ფორმაშია, ყრის და ყრის ბურთებს და „იუტასთანაც" 43 შეაგროვა, მაგრამ ხუთმატჩიანი წამგებიანი სერიის შეწყვეტას ესეც ვერ ეყო. ეს „იუტაც" დიდი ვერაფერი გუნდია, მანამდე მიჯრით 9 თამაშში დამარცხებულიყო და „ლეიკერსთანაც" ბოლო მეოთხედის დასაწყისში შვიდი ქულით აგებდა, მაგრამ მეჰმეთ ოქურმა, მეტ ჰარპრინგმა და მათმა თანაგუნდელებმა კობი ბრაიანტს ყველაფერი დიდ მარილიან ტბაში გადაუყარეს.

**კოტე ყორშია**

# ქართულ ჭიდაობას მსოფლიოში სწავლობენ

**ტრადიციული** ქართული ჭიდაობის ფედერაცია ქამრიან ჭიდაობათა საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანდა. ამ სიახლის შესახებ ფედერაციის თავკაცებმა გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გვაცნობეს. 17-21 მარტს ვილნიუსში 22 ქვეყნის ეროვნული ჭიდაობის ხელმძღვანელები ყოველწლიურ სიმპოზიუმზე შეიკრიბნენ და ქამრიანი ჭიდაობის მომავალსა და მსოფლიოში მის პოპულარიზაციაზე იმსჯელეს.

ქართული დელეგაცია სიმპოზიუმს პირველად ესტუმრა და ოფიციალური წევრიც გახდა. ოლიმპიურ სახეობათა შორის მოსახვედრად მებრძოლ ქამრიანებში გაწევრიანების მთავარი მიზანი ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, საქართველოს შვიდგზის ფლაგმანმა ალექსი დავითაშვილმა თავიდანვე გამხილა:

„ჩემს საპრეზიდენტო პროგრამაში შეტანილ საკითხთაგან ერთ-ერთი უმთავრესი ქართული ჭიდაობის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა იყო. საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებისთანავე პირველი მოთხოვნა, რაც მის პრეზიდენტს წავუყენეთ, ტრადიციულ ქართულში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაში მხარდაჭერა იყო. პირადად ვილნიუსში არ ვყოფილვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდება. უკვე დროც შევარჩიეთ — 2006 წლის შემოდგომა“.

ალექსი დავითაშვილი მოქმედი ძიუდოისტია და სიმპოზიუმის დღეებში ჩეხეთში ტურნირზე იმყოფებოდა, ვილნიუსში კი მისი პირველი მოადგილე აკაკი ბოცვაძე და გენერალური მდივანი იური იმერლიშვილი ჩავიდნენ. შესაბამისად, მათი კომენტარები უფრო მდიდარი გამოდგა.



[illegible] ფოტო

აკაკი ბოცვაძე: „ლიტვაში ჩასვლის პირველივე დღიდან უდიდესი ყურადღება ვიგრძენით, რასაც ნამდვილად არ ველოდით. სიმპოზიუმი ჩვიდმეტში დაიწყო, მაგრამ პირველი საქმიანი შეხვედრა წინა დღესვე მოვასწარით. ქამრიანი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ რივ ბაირამოვს ვესაუბრე და ქართულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების იდეაც შევთავაზე. ვერ ვიტყვი, რომ ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია, თუმცა არა მგონია რამემ ხელი შეგვიშალოს. სავარაუდოდ, პირველ დღეს მსოფლიოს ორმოცდაათამდე ქვეყნის მოჭიდავეები ტრადიციულ ქართულში შეეცდებიან გაფალავნებას, ხოლო მეორე დღეს — ქამრიან ჭიდაობაში. რაც შეეხება თავად სიმპოზიუმს, ოცდაორი ქვეყნის დელეგაცია შეიკრიბა. გაცილებით მეტიც მოგროვდებოდა, სტუმრები რეგიონების მიხედვით რომ არ შეერჩიათ. კავკასიიდან მარტო ჩვენ ვიყავით. ძირითადად ევროპისა და აზიის ქვეყნების დელეგაციები ჩამოსულიყვნენ, აფრიკელებს კი ტონგა წარმოადგენდა. დღის წესრიგი კარგა ხნით ადრე შეედგინათ, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, უეცრად შეცვალეს და გახსნისთანავე ოცწუთიანი გამოსვლის უფლება მოგვცეს. იური იმერლიშვილის სიტყვამ ყველა აღაფრთოვანა“.

იური იმერლიშვილი: „ფედერაციის წევრებს პირველ რიგში ქართული ჭიდაობის ისტორია გავაცანი. ძველ სვანურ, გურულ, რაჭულ და ინგილოურ ჭიდაობებზე საუბრის პარალელურად დამსწრეთ 1989 წლის ჯალალ[illegible] ქართული ჭიდაობის შეჯიბრის ვიდეოფირი ჩავურთეთ. [illegible] წარმოიდგენთ, ამან [illegible] გამოიწვია. იმავე დღიდან საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოვექეცით. ამბობდნენ, ასეთ დადებით მუხტს სხვა ვერაფერი მოგვცემდაო. ქართული ჭიდაობის წესებით ყველა დაინტერესდა და რადგან სხვა ეროვნულ ჭიდაობებთან სხვაობა არც ისე დიდია, ვვარაუდობ, რომ ადვილად აიტაცებენ. ჩვენ კი ქამრიანი ჭიდაობის კასეტა და წიგნები მოგვატანეს და დაინტერესებულ[illegible]რებს აუცილებლად გავაცნობთ“.

ჭიდაობის ხელმძღვანელთა გამოსვლებს დარბაზიდან არაერთი შეკითხვა მოჰყვა. ძირითადად ამ საქმეში მოტრიალე ხალხი აქტიურობდა. მავანმა იკითხა, დიდ ფედერაციაში გაერთიანებით ტრადიციულ ქართულს თავისი სახელოვანი სახე რომ არ დაეკარგებაო, თუმცა იქვე მოჭრილი პასუხი მიიღო — არავითარ შემთხვევაში, ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც ჩატარდებაო. ბოლოს ყველაზე მტკივნეულ საკითხსაც მიადგნენ. ფედერაციას, რომელიც ამხელა საქმეს შეჭიდებია, საკუთარი ოთახიც კი არა აქვს. კითხვის ადრესატი დარბაზში მყოფი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელგუჯა მაჩაიძე გახდა. პასუხი ცოტა ზოგადი, თუმცა საკმაოდ დამაიმედებელი იყო — უახლოეს მომავალში გვეცოდინება ის ზუსტი თანხა, სპორტის არაოლიმპიური სახეობების დასაფინანსებლად რომ დაგვჭირდება და ტრადიციულ ქართულ ჭიდაობასაც ყველანაირად შევუწყობთ ხელსო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

# შენ დაჰკარ, ჭინკა ჟუსტინის მობრუნებულა

**ჟუსტინ** ენენ-არდენი, ვისაც ხანგრძლივი უქმობის შემდეგ სამ-და-იმ-კვირაო მაიამობაზე ვიხილავთ, ამბობს, რომ წარმატებული ბურთაობისთვის მას უწინარესად მოთმინება სჭირდება.

„უკანასკნელად შვიდი თვის წინ ვითამაშე და ცხადია, რომ საიმისოდ, რათა ჩემი რიტმი, თამაში და რეიტინგალაგი დავიბრუნო, გარკვეული დრო უნდა გავიდეს“ — თქვა მან იმდღევანდელ პრესკონფერენციაზე.

„ზეპურ ამქარში დაბრუნება მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ თუ გამომივა. მე უკვე შევაგუე ჩემი თავი იმ აზრს, რომ უმწვერვალეს ფორმას მყისვე ვერ ალვიდგენ. ამიტომ, მოვიგებ თუ წავაგებ, კარგად ვითამაშებ თუ ცუდად, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. მთავარია, რომ ძველებურად კორტზე ვარ, ხოლო ძველი დიდება თანდათანობით ისევ მოვა.“



ჟუსტინ ენენ-არდენი

შეგახსენებთ, რომ ამქრის პირველოსანყოფილს აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ აღარ უჩოგნავია და საერთოდაც — ბოლო ერთი წელიწადია, ძირითადად იმ, დამღლელობისა და სისუსტის მომგვრელ ვირუსს ებრძოდა, შარშან სადღაც ამ დროს რომ აიკიდა.

კორტზე მობრუნებას ჭინკა ბელგიელი ჯერ კიდევ იანვარში აპირებდა, მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობისთვის წრთობისას მუხლი დაიშავა და ჩოგანი ისევ დედაბოძზე ჩამოკიდა.

„ეს მართლაც ძალიან მურდალი ამბავი იყო — ამბობს ეს 22 წლის წრიპა ბელგოგო, ვინაც 2003 წელს საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობებზე იმარჯვა, ხოლო შარშან, სანამ ვირუსი მოერეოდა, ავსტრალიობის აოხრებაც მოასწრო.

„ჰო, მუხლის ტრავმა მართლაც მაგრად გამიტყდა, რაკილა სეზონის დასაწყებად ბარაქიანად ვემზადებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა იქნება, რომ საიმდროოდ ბოლომდე ჯანზე მაინც ვერ ვიყავი.“

„ავადმყოფობასთან რკენის ამბავს ბოლომდე მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ასეთი რამე თავად გამოუვლია... ერთ დღეს კარგად ხარ, მეორე დღეს — ისევ ცუდად. დღეები იყო, საწოლიდან თავის წამოწევას ვერ ვახერხებდი და, წარმოიდგინეთ, რა საშინელება უნდა ყოფილიყო ეს იმისთვის, ვინაც ყოველდღიურ გარჯასა და ამქრის სათავეში ყოფნას იყო ჩვეული.“

„ასეთ მდგომარეობაში მხნეობისა და წალმართი განწყობის შენარჩუნება ძალიან მიჭირდა და ხშირად თავს საზიზღრადაც ვგრძობდი.“

„რომ გითხრათ, ტურნირიდან ტურნირამდე წანწალი მენატრებოდა, მოგატყუებთ, მაგრამ კორტზე ყოფნისა და უწყვეტი ბრძოლის განცდა კი ჭეშმარიტად მაკლდა. ცხადია, მაკლდა გამარჯვებებიც...“

ალბათ გეხსომებათ, ნავირუსალმა ჟუსტინმა შარშან როლანგაროსობაზე ტიტულის დაცვა რომ სცადა, მაშინ ეგეც უნდა გახსოვდეთ, რომ ტიტული მეორე წრეშივე გააგდებინეს. მას მერე მან აგვისტომდე იუქმა და კორტს ათენის ოლიმპიადაზე მოუბრუნდა, სადაც — ყველას და, მათ შორის, საკუთარი თავის გასაკვირადაც — ჩოგანი ოქროს მედალსაც გამოჰკრა. ამ ამბავს ჟუსტინი ახლაც ჰკვირობს:

„აზრზე არა ვარ, როგორ მოვახერხე ამის გაკეთება, მაშინ ხომ თავს არც ასი პროცენტით ჯანმრთელად ვგრძნობდი და არც რამე. მაგრამ იქ საოცრად დამმუხტველი ატმოსფერო სუფევდა და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენება სწორედ ამან შემაძლებინა.“

ჭინკა ჟუსტინი ახლა რეიტინგსის მეორმოცე საფეხურზე დგას — ორით მაღლა ახლახანს ათმოცდათხუთმეტადგილებულ თვისტომ კიმ კლაისტერსზე. და, თუ კი კიმმა შეძლო, მაჯის ტრავმის გამო ასევე ხანგრძლივი უქმობის მერე დაბრუნებულს ინდიანუელსობაზე რომ ეჩემპიონა, ჟუსტინი თვლის, რომ მას ასეთივე წარმატებული დაბრუნება არც ერთ ვარიანტში არ გამოუვა.

„კიმი კიმია, მე კი ჟუსტინ ენენი ვარ. რაც კიმმა გააკეთა, ეს დიდებულია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრავმიანობასა და ვირუსიანობას შორის დიდი განსხვავებაა.“

მაიამობაზე ის რანგით მე-19 ჩოგანს გააქნევს და, როგორც განთესილი, საქმეში მხოლოდ მეორე წრიდან ჩაებმება (ავსტრალიელი სამანტა სტოზერის ან ამერიკელი ებიგაილ სპირსის წინააღმდეგ).

„2005 ჩემთვის გარდამავალი წელი იქნება, მე ჩემი დონის ჩვეულებრივი ხლა მოძიება და ამქრის სათავეებში დასაბრუნებლად პოზიციების შემზადება მომიწევს, საამისოდ კი ის შეგრძნებები უნდა დავიბრუნო, კორტზე პირველოსნობისას რომ მქონდა“ — დასძენს ჟუსტინი და, თუმც კიმზე უფრო მომცრო, მაგრამ, ბაზარი არაა, მასაც დასტურ გადაპიპინებული სტაქნებით შეეგებებით.

**არტემ ჩუჩანიძე**

# კომპიუტერებთან მებრძოლი კასპაროვი ანუ XX საუკუნის მთავარი ექსპერიმენტი

დასაწყისი იხ. „სარბიელი" № 57

„ჭადრაკს პროფესიულ დონეზე აღარასოდეს ვითამაშებ და ამიერიდან მხოლოდ საჩვენებელ ტურნირებში გამოვალ" — განაცხადა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ლინარესის მეცხრედ მოგების შემდეგ. ბევრი თვლის, რომ ეს მან სრული სერიოზულობით თქვა და აზრს აღარ შეიცვლის.

გარი კასპაროვი მსოფლიოს ჩემპიონი 1985 წელს გახდა. მას შემდეგ ოცი წელიწადი მიიღია და ამ ხნის განმავლობაში იგი პლანეტის ნომერ პირველი დიდოსტატია.

გენიალური მოჭადრაკე 1963 წლის 13 აპრილს ბაქოში დაიბადა. მომავალი ჩემპიონის ოჯახში მშობლები ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს და გარიმაც ეს სპორტი ხუთი წლის ასაკიდან აითვისა. მამამისი კიმ ვაინშტეინი მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი გახლდათ და ჭადრაკის გარდა პოეზია და მუსიკაც უყვარდა, თუმც როგორც კი პატარა გენიოსის საოცარ ინტელექტში დარწმუნდა, ბავშვს ჭადრაკისკენ გაუკაფა გზა.

პირველი სერიოზული გაკვეთილი გარიმ ბაქოს პიონერთა სახლში მიიღო. მისი მწვრთნელი ოლეგ პრივოროსკი მაშინვე მიხვდა, რომ ბედმა მას გენიალური მოსწავლე არგუნა. ბავშვობისას კასპაროვი, თანატოლებისგან განსხვავებით, შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და მეცადინეობას დიდ დროს უთმობდა. ათი წლისა სერიოზულ შეჯიბრებებში გამოვიდა. კასპაროვის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა საკავშირო სკოლის დიდმა მასწავლებელმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხაილ ბოტვინიკმა. საბჭოთა ჭადრაკის მამამთავარმა მას სტრატეგიული თამაში და ანალიზებში უკეთ გარკვევა ასწავლა.

აღსანიშნავია, რომ ბოტვინიკი პირველი მსოფლიოს ჩემპიონი იყო საბჭოთა კავშირიდან, კასპაროვი კი ბოლო.

„ბოტვინიკის სკოლაში 10 წლისა მოვხვდი, როგორც პირველთანრიგოსანი. მას თავიდანვე თვალში მოვხვდი და ამის შემდეგ მუდამ მფარველობდა" — იხსენებს გარი.

„ეს სკოლაა, თუმც ყოველთვის მოსაგებად უნდა ითამაშო" — არიგებდა მსოფლიოს მე-6 ჩემპიონი პატარა გენიოსს და მოსწავლეც არ ირცხვენდა თავს.

სადებიუტო სვლებს კასპაროვს სპორტის ოსტატები, ალექსანდრ ნიკიტინი და ალექსანდრ შაკაროვი ასწავლიდნენ. ისინი გაოცებულნი იყვნენ ყმაწვილის ფენომენალური მახსოვრობით და გარიც თამაშის ბედს თითქმის დებიუტშივე წყვეტდა.

გარდა ჭადრაკისა, კასპაროვი სკოლაშიც გამოირჩეოდა. უყვარდა ისტორია, გეოგრაფია, კითხულობდა ფილოსოფიურ ტრაქტატებს და ცოდნაში ასაკით უფროსებსაც სჯობნიდა. დიდოსტატი ბავშვობაში ჯანმრთელობას უჩიოდა, თუმც სპორტისადმი სერიოზულმა და რეგულარულმა მიდგომამ იგი ათლეტად აქცია.

საჭადრაკო სარბიელზე კასპაროვი 10 წლის გავიდა. მან ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაზე ვილნიუსში აზერბაიჯანის 14-წლამდელთა ნაკრებში იასპარეზა. პირველი სერიოზული გამოცდა კი კასპაროვს 1976 წელს თბილისში ჰქონდა. მაშინ მან საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატი




ადამიანების შემდეგ გარი კომპიუტერებს შეეჭიდა



მათ ერთად პარტიაც უთამაშიათ



მსოფლიოს ყოფილი და მომავალი ჩემპიონი: მიხაილ ბოტვინიკი და გარი კასპაროვი

მოიგო. პირველი დიდი შეჯიბრიც ორი წლის შემდეგ კვლავ თბილისში მოუწია. მან სსრკ-ს ჩემპიონატში ითამაშა, 17 პარტია ჩაატარა, 9 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ მეხუთე-მეცხრე ადგილებს დასჯერდა. თუმც ეს იყო და ეს, მას შემდეგ კასპაროვი თითქმის ყველგან მაღალ ადგილებს იპყრობდა.

1979 წელს კასპაროვს დიდოსტატის წოდება მიენიჭა. მან იუგოსლავიის ქალაქ ბანია ლუკეში საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, ამ მატჩში 9 ქულა მოაგროვა და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა დიდოსტატის ნორმის შესავსებად.

გარის კი ალბათ მუდამ ემახსოვრება 1980 წელი, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა მის კარიერაში. ამ წელს კასპაროვმა ოთხი ოქროს მედალი მიიღო. პირველი ოქრო მაშინ ერგო, როცა სსრკ-ს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორე სკოლის ფრიადზე დამთავრებისთვის უბოძეს, მესამე მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონობისთვის, ხოლო მეოთხე ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის.

18 წლის კასპაროვს აქტივში უკვე თითქმის ყველა დიდი ჯილდო ჰქონდა და მხოლოდ ერთადერთი, მსოფლიოს ჩემპიონობა აკლდა. ამისთვის მან მომზადება 1982 წელს დაიწყო, ყველა საკვალიფიკაციო წრე წარმატებით გაიარა და 1984 წელს მოსკოვში მაშინდელ ჩემპიონ თანამემამულე ანატოლი კარპოვთან თამაშის უფლება მოიპოვა. შეხვედრა საკმაოდ გაიწელა და ბოლომდე არ დასრულებულა, რადგანაც გაჩნდა საშიშროება, რომ მატჩს ახალგაზრდა კასპაროვი მოიგებდა. ეს კი სსრკ-ს ხელმძღვანელობას ხელს სულაც არ აძლევდა.

დიდოსტატებმა 48 პარტია ითამაშეს, საიდანაც კასპაროვმა 3 მოიგო, ხუთი წააგო, ხოლო 40 ყაიმით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ კასპაროვმა სამივე პარტია ბოლო შეხვედრებში მოიგო და რომ დასცლოდა, ალბათ, უკვე გადაღლილ კარპოვს მუსრსაც გაავლებდა. ამის შეეშინდათ კიდეც სსრკ-ს უფროსებს და ხრიკებით ჩემპიონად „თავიანთი" კანდიდატი დატოვეს.

ფიდეს მაშინდელმა პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა და სსრკ-ს ხელმძღვანელებმა მატჩის შედეგი გააუქმეს და მომავალ წელს განმეორებითი შეხვედრა დანიშნეს. ახალი მატჩი მოსკოვში ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში 1 სექტემბერს დაიწყო და 10 ნოემბერს კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა — 24 პარტიიდან 5 მოგება, 3 წაგება, 16 ყაიმი. ამრიგად, 1985 წელს მსოფლიოს ახალი და ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი მოევლინა. ამის შემდეგ კასპაროვმა კარპოვთან სამჯერ დაიცვა ტიტული და მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი უკვე მის პოტენციურ მეტოქედ იქცა.

მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ბრძოლაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გადამწყვეტი პარტია ანგარიშში ჩამორჩენილს მოეგოს. სიძნელეთა მარტივად გადალახვის შესაძლებლობა კასპაროვის ხასიათის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. შეგვიძლია გავიხსენოთ მრავალი შემთხვევა, როცა რთულ ტურნირებში და მატჩებში დასასრულისკენ კარგად ათამაშებულა კასპაროვი და ლიდერ მეტოქისთვის გადაუსწრია. მას ხიბლავდა ბედთან თამაში და ყველას უმტკიცებდა, რომ რაც სხვისთვის მიუწვდომელი იყო, ის თავისუფლად აკეთებდა. მდიდარი ფანტაზია და მებრძოლი სული კასპაროვს ახალი საჭადრაკო მწვერვალების დაპყრობაში ეხმარებოდა. მან ჩემპიონატის ტიტული კიდევ ორჯერ დაიცვა — 1993 წელს ლონდონში ნაიჯელ შორტთან და 1995 წელს ნიუ იორკში ვიშვანათან ანანდთან. ამით იგი მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გახდა.

კასპაროვი ასევე არის შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ამდენივე „საჭადრაკო ოსკარის" მფლობელი, როგორც წლის საუკეთესო მოჭადრაკე. საერთოდ კი დიდოსტატს 40-მდე სუპერტურნირი აქვს მოგებული.

1989 წელს მან ფიდეს რეიტინგში პირველად გადააბიჯა 2 800-იან ზღვარს და აგერ, 15 წელიწადია, ქვევით არც ჩამოსულა. 1999 წელს მას უკვე უმაღლესი რეიტინგი 2 815 ჰქონდა. საერთოდ კი, 2 800-იან ზღვარს ჯერ არც ერთი დიდოსტატი არ გადასცილებია.

კასპაროვი 20 წლის იყო, როცა მისი პირველი წიგნი დაიბეჭდა — „დროის გამოცდით". მომდევნო გამოცემებმა დიდოსტატს ჭადრაკის მკვლევარისა და პუბლიცისტის იმიჯი დაუმკვიდრა.



კასპაროვმა ტიტული კრამნიკს გადაულოცა

80-იანი წლების ბოლოს კასპაროვი ფიდეს ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა. დიდოსტატს არ მოსწონდა მათი დოგმატური ფორმები და ცდილობდა, ჭადრაკში ინვესტორებად მსოფლიოში წამყვანი ფირმები მოეწვია. მისი თაოსნობით შეიქმნა 1988 წელს დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია, ხოლო 1993 წელს - პროფესიული ჭადრაკის ასოციაცია, რომელმაც წამყვანი როლი ითამაშა ჭადრაკის განვითარებაში და საერთაშორისო ტურნირების პოპულარიზაციაში.

უკანასკნელ წლებში დიდოსტატი ცდილობდა ჭადრაკი ინტერნეტში დაენერგა. კასპაროვი ინტერნეტის საშუალებით მიმდინარე პარტიების პირდაპირ რეპორტაჟებს აჩვენებდა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მილიონობით ადამიანს შეეძლო მის ცქერა. 1996 წელს ფილადელფიაში მან ფირმა IBM-ის სუპერკომპიუტერთან „DEEP BLUE"-სთან ითამაშა. ადამიანისა და მანქანის შეჯახებამ მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა და ეს XX საუკუნის ერთ-ერთ მთავარ ექსპერიმენტად აღიარეს. 1998 წელს დიდმა მოჭადრაკემ ახალი საიტი შექმნა „კლუბ კასპაროვის" სახელით, რომელიც მალე საკმაოდ პოპულარული გახდა ინტერნეტში. უნიკალურ მიღწევად ითვლება კასპაროვის მოგება მთელ მსოფლიოსთან, რომელიც 1999 წელს კომპანია „MICRO-SOFT"-ის თაოსნობით მოეწყო. ამ მატჩისთვის სპეციალურად ახალი საიტი შექმნეს და ოთხთვიან ბრძოლაში 3 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ჭადრაკისადმი ამხელა ინტერესი აქამდე არასდროს ყოფილა.

2000 წელს ლონდონში კასპაროვმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვლადიმერ კრამნიკთან დათმო. კასპაროვმა 15 პარტიიდან 13 ყაიმით დაასრულა და 2 წააგო. თუმცა, მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია, კრამნიკი მსოფლიოს ერთადერთი ჩემპიონია, თუ არა. დამარცხების შემდეგ კასპაროვი სულ ცდილობდა კრამნიკთან რევანშის აღებას, თუმც გაიძვერა ვლადიმერი მუდამ დროს წელავდა და ათას ხრიკს იგონებდა, რათა გარისთან შეხვედრა თავიდან აერიდებინა.

1987 წლიდან კასპაროვი საქველმოქმედო საქმიანობითაა დაკავებული და 1991 წელს რუსეთში პირველი ასეთი ფონდიც შექმნა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ეხმარებოდა ლტოლვილებს, ომის ვეტერანებსა და მარტოხელა პენსიონრებს. ამ ხნის განმავლობაში ფონდმა მილიონ დოლარზე მეტი გაიღო. 1991 წლიდან კასპაროვი ამერიკულ ჟურნალ „THE WORLD STEET JOURNAL"-ში თანამშრომლობს. ჭადრაკის გარდა უყვარს ფეხბურთი, ჩოგბურთი, რბენა, ათლეტიზმი და ცურვა. გარის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია მსახიობ-გუბერნატორი არნოლდ შვარცნეგერი, რომელიც ჭადრაკის დიდი ქომაგი ყოფილა.

რაც შეეხება ოჯახს, კასპაროვს ჰყავს საკმაოდ ყურადღებიანი დედა, კლარა, რომელიც მუდამ თან დაჰყვება გენიოს შვილს. დიდოსტატი ორჯერ იყო დაქორწინებული და ორი შვილიც ჰყავს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ამერიკელი ფიშერის ისლანდიური ფესვები



1972 წელს ფიშერმა სპასკი რეიკიავიკში დაამარცხა

**იაპონიაში** დაკავებულ მსოფლიოს მე-11 ჩემპიონ ბობი ფიშერს ორი დღის წინ ისლანდიამ მოქალაქეობა უბოძა და პატიმარს თავის ქვეყანაში თავშესაფარი მისცა. იაპონიის ტუსაღი კი ამერიკის მოქალაქედ ითვლება და ეს ქვეყანა მის გადაცემას ზაფხულიდან, დიდოსტატის დაკავების დღიდანვე ითხოვს.

ცხადია, ისლანდიელების საქციელმა ამერიკის შეერთებული შტატები გააღიზიანა და ამ ფაქტთან დაკავშირებით პროტესტიც გამოთქვა.

„ისლანდიის საქციელმა გაგვაოცა. ჩვენ გვინდოდა, რომ ფიშერი აშშ-ის დაბრუნებოდა, სადაც ჩვენი კანონებით გავასამართლებდით" — განაცხადა ისლანდიაში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა ლინდა ჰარტლიმ.

აშშ-ში დაბრუნების შემთხვევაში დიდოსტატს ათწლიანი ციხე და ფულადი ჯარიმა ელის.

ისლანდიის წარმომადგენელმა აშშ-ის წინაშე თავის მართლება სცადა და განაცხადა, ფიშერს ისლანდიასთან ისტორიული კავშირი აქვსო.

შეგახსენებთ, რომ 1972 წელს ფიშერი სწორედ ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, როცა ამ ტიტულის მფლობელი, საბჭოელი ბორის სპასკი დაამარცხა.

ამ დღის შემდეგ კუნძულზე ფიშერი საკმაოდ პოპულარულია და ისლანდიის წარმომადგენელი სწორედ ამ ფაქტს გულისხმობდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# კლიმენტი ძალიან უცნაურია




კირონ კლიმენტი

**დაახლოებით** ამ ერთი კვირის წინ გაცნობეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქვეყნის სტუდენტ მძლეოსანთა დარბაზის პირველობაზე ფლორიდის უნივერსიტეტის 19 წლის წარმომადგენელმა, კირონ კლიმენტმა, 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ამ ამბავმა, გარდა იმისა, რომ მსოფლიოს რეკორდი მსოფლიოს რეკორდია, იმითაც მიიპყრო საგანგებო ყურადღება, რომ დამხობილი რეკორდი თვით მაიკლ ჯონსონს ეკუთვნოდა და ათი წლის განმავლობაში ხელშეუხებელი გახლდათ. ჯონსონის შედეგი იყო 44,63 წამი, ხოლო კლიმენტისა 44,57 წამის ტოლია.

და აი, კლიმენტის უცნაური განცხადება: ის ამბობს, აგვისტოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე 400 მეტრზე თარჯრბენში იასპარეზებს და ამ შეჯიბრებაზე, ჰელსინკიში დანიშნული მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას შეეცდება.

„კირონის საქმე 400 მეტრზე თარჯრბენია", — კვერი დაუკრა შეგირდს ფლორიდელის უნივერსიტეტელმა მწვრთნელმა მაიკ ჰოლოვეიმ.

კირონ კლიმენტი წარმოშობით ტრინიდადიდან და ტობაგოდან გახლავთ, დაბადებული და გაზრდილია პორტ ოფ სპეინში. რვა წლისა უკვე მძლეოსნობაზე დადიოდა და მოკლე დისტანციებზე გამოდიოდა. 1998 წელს კირონი და დედამისი აშშ-ში, კერძოდ ტეხასში გადასახლდნენ. ტეხასში მათ ბებია, 20 წლის გადასახლებული ტერესა თომასი დახვდათ. 13 წლის კლიმენტმა ძალა თარჯრბენშიც მოსინჯა და ამ დისციპლინაში ნიჭი გამოამჟღავნა.

სხვათა შორის, აშშ-ის მოქალაქეობა კირონმა მხოლოდ შარშან, ამერიკელ სტუდენტთა ჩემპიონატის წინ მიიღო.

„ეს ძალიან ძნელი გადაწყვეტილება იყო, — ამბობს თავად — ტრინიდადი ჩემი სამშობლოა და იქაური ადამიანების განაწყენება არ მსურს, თუმცა საბოლოოდ მაინც ის ავირჩიე, რაც პირადად ჩემთვის იქნებოდა უკეთესი".

და ბოლოს, ამომავალი ვარსკვლავი დასძენს: „აშკარაა, რომ ბოლო 100 მეტრზე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო. ეს ჩემი ყველაზე ცუდი წერტილია და თუ მსოფლიოს მძლეოსნობის მწვერვალზე მინდა ყოფნა, იგი მნიშვნელოვნად უნდა გამოვასწორო".

**ტუტა სიხარულიძე**

# ეგრე არ არის თაყაო

**მსოფლიოს** ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) პრეზიდენტმა კანადელმა რიჩარდ პაუნდმა განაცხადა, რომ მას გადაუწყვეტია აპელაცია შეიტანოს საბერძნეთის მძეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილების გამო, რის საფუძველზეც მძლეოსანი სპრინტერები ეკატერინა ტანუ და კოსტას კენტერისი გამართლებულები არიან.

პაუნდი ამბობს, რომ თუ ამას არ გააკეთებს მძეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, მაშინ თავად WADA გადადგამს ამგვარ ნაბიჯსო.

შეგახსენებთ, გასულ კვირას ტანუ და კენტერისი, რომლებმაც ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე არაერთხელ აარიდეს თავი დოპინგტესტებს და იგივე მოიმოქმედეს ოლიმპიადის დღეებში, საბერძნეთის მძლესონობის ფედერაციამ გაამართლა და ისინი მიიჩნია „გარემოებათა" მსხვერპლად. იმავდროულად საბერძნეთის მძეოსნობის ფედერაციამ ამ სპორტსმენების მწვრთნელი ხრისტოს ცეკოსი დისკვალიფიკაციით დასაჯა და ოთხი წლის მოკვეთა საქმიანობიდან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 – 31 მარტი

### IV ტური

| | | |
|---|---|---|
| ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0:1 | [illegible] |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | [illegible] |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | 0,5:0,5 |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ლუკ ვანველი (ჰოლანდია) | 0:1 | 1:0 |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | 0,5:0,5 |
| ალექსანდრ მოროზევიჩი — ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 1:0 | 1:0 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

# სწრაფმა კლასიკურთან პირველი ზავი ითამაშა



კრამნიკმა ანანდთან დაფის მიღმა გაიცინა

**როგორც** იქნა, ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა ამბერში პირველი ნახევარი ქულა დაკარგა და მოჭადრაკეებს რაღაცის იმედი მიეცათ. სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ ინდუსს წინააღმდეგობა კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა გაუწია და აზიელ მეტოქეს სწრაფ პარტიაში დაუზავდა. თუმც შემდეგ თვალხუჭუნა პარტია დათმო.

დაფაზედაუხედავ პარტიაში ანანდმა კლასიკური e 4-ით დაიწყო თამაში, მეოთხე სვლაზე პაიკი გაცვალა და შავი მხედრით მცირე დარტყმაც მიიღო. ინდოელმა რუსის პატარა იერიში მალევე მოიგერია, მე-9 სვლაზე როქი გააკეთა და ფლანგების გაძლიერებას შეუდგა. მე-12 სვლაზე კრამნიკმა ახალი იერიში წამოიწყო, შავი მხედრით კუ მოუკლა ინდოელს. საპასუხოდ ანანდმაც შეტევა განახორციელა, ლაზიერ-ეტლებით დაფაზე დაფაცურდა და 27-ე სვლაზე პაიკით გავიდა წინ. ხარისხით დაწინაურებულ თეთრებს სათამაშო უპირატესობაც უკეთესი ჰქონდათ შავებზე და ხელმწიფის ფლანგიდან ახალ იერიშებს შეუდგნენ. 32-ე სვლაზე თეთრი ეტლი მეფის ფლანგზე გაბატონდა, h 6-ე უჯრაზე გამაგრდა და შავებს თავისუფლად მანევრირების საშუალება მოუსპო. ორთაბრძოლები ძირითადად მარჯვენა ფლანგზე მიმდინარეობდა, ამიტომაც ეს ადგილი ფიგურებისგან დაცარიელდა, [illegible] ბრძოლის გაგრძელება. [illegible] ინდოელი რუსზე [illegible] ისარგა, უპირატესობა [illegible] ნიმტკიცა და მე-60 სვლაზე მორიგი ქულა მოიპოვა.

სწრაფი პარტიაც აქტიურად დაიწყეს მებრძოლებმა, მთელი თამაში ფიგურების გაცვლას მოანდომეს და 24-ე სვლაზე ანანდმა ტურნირზე პირველი ზავი გამოაცხადა.

კარგად ითამაშეს ანანდის მდევრებმაც. რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა თანამემამულე ევგენი ბარეევს ორივე პარტია მოუგო და ახლა უკრაინელ ვასილ ივანჩუკთან ერთად ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს.

**ლაშა გეგეჭკორი**



32-ე სვლაზე ანანდის ეტლი მარჯვენა ფლანგზე გამაგრდა

| | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 4/3,5/7,5 |
| 2. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2,5/3/5,5 |
| 3. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2,5/3/5,5 |
| 4. პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 2,5/2,5/5 |
| 5. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2,5/2,5/5 |
| 6. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 3/1,5/4,5 |
| 7. ბორის გელფანდი (ისრაელი) | 2/1,5/3,5 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

# ოქსფორდ-კემბრიჯი

ოქსფორდის და კემბრიჯის მენავეები კვლავაც შეეჯაჭრებიან ერთმანეთს მდინარე ტემზაზე. ოქსფორდს მუქი აცვია, კემბრიჯს ღია. შტურმანების ცალკე გამორჩევა ძველი ადათია: იცნობდეთ, ას, რ ნეტერკოტი (ოქსფორდი) და პიტერ რაჯი (კემბრიჯი). ამბავი კი ამ კვირასაა ლონდონში. ოქსფორდელები წონით მძიმეები არიან.



REUTERS ლონდონიდან





REUTERS ლივერპულიდან

# ხელები შორს

ეს კიევის „დინამოს“ გულშემატკივართა საპროტესტო დემონსტრაციაა. კლუბის უფროსობას, როგორც ხდება ხოლმე, ხელისუფლება მიადგა და ინტრიგაც დაიწყო. კლუბის გულშემატკივართა გაერთიანებულმა კომიტეტებმა კი უკრაინის სიამაყის დაცვა მთელი გულით დაიწყეს.



REUTERS კიევიდან

# დედმენი

კილი სლეიტერი ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონია სერფინგში. ამ ამერიკელს ტალღის სიდიდე არ აშინებს. სიდნეის მენლი ბიჩის ახლოს ახლა დიდი შტორმია — 11 მეტრიან ტალღებს აქაურები „დედმენს“ (მკვდარ კაცს) უწოდებენ. სლეიტერი კი იმ 12 მამაც მოსერფეს შორის იყო, მათ რომ შეებრძოლა.



REUTERS სიდნეიდან

# ფორესტ განერი

ცხრა აპრილს აინტრის დიდი პრიზი გათამაშდება ლივერპულის ახლოს. ხოდა კერი ფოქსიც აჯარჯიშებს თავის ფავორიტს, რომელსაც ფორესტ განერი (ტყის მეთოფე) ჰქვია სწორედ აინტრის თავლებში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოხა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ჯაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალი ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუაშვილი, ბადრი კვიჭლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge